

გლობალური და რეგიონული წესრიგი

კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ წესრიგზე

პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში

სამუელ ჩერეპი, ჯერემი შაპირო,
ალექსანდრა დიენესი, სერგეი აფონცევი,
პეტერ ბალასი, როდიკა კრუდუ, ჯეიმს
დობინსი, ვასილ ფილიპჩუკი, დიანა
გალოიანი, ულრის კუპნი, ანდრეი პოპოვი,
იაუენი პრეიერმანი, პერნილ რიკერი,
ნიკოლაი სილაევი, თლესია ვართანიანი,
ანდრეი ზაგორსკი

ივნისი 2021



რუსეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობა ძირითადად გამონვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი იბრძვიან, მათ შორის გეოგრაფიულად განლაგებულ ქვეყნებზე (პუბლიკაციაში მოხსენიებულია როგორც „შუალედური“ სახელმწიფოები) გავლენის მოსაპოვებლად. ეს ქვეყნებია: პირველ რიგში, უკრაინა, შემდეგ ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და ამერბაიჯანი.



დასავლეთში პოლიტიკური დებატები რეგიონულ წესრიგთან დაკავშირებით, წარმოადგენს დაპირისპირებას ევროატლანტიკური ინსტიტუტების (ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის [ნატოს]) შემდგომი გაფართოების მომხრეებსა და ამ ინსტიტუტების კრიტიკოსებს შორის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გაფართოებამ გამოიწვია არსებული კრიზისი და ის უნდა შეჩერდეს.

გლობალური და რეგიონული წესრიგი

კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ წესრიგზე

პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში

ამ პუბლიკაციაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ
ვებ-გვერდს: www.rand.org/t/CF410
კონგრესის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პუბლიკაციების
კატალოგური მონაცემები ამ დოკუმენტისთვის.

გამოქვეყნებულია „რენდის კორპორაციის“ (RAND Corporation)
მიერ, კალიფორნიის ქალაქ სანტა-მონიკაში.
© საავტორო უფლება 2019 „რენდის კორპორაცია“
RAND® აღნიშნავს რეგისტრირებულ სამარკო ნიშანს.

სარჩევნი

	წინასიტყვაობა	3
	მადლობის ნიშნად	4
1.	შესავალი	5
	<i>სამუელ ჩერეპი</i>	
2.	რეგიონული კონფლიქტები	10
	<i>სამუელ ჩერეპი, ვასილ ფილიპჩუკი, ულრიხ კუპნი, ანდრეი პოპოვი, ნიკოლაი სილავევი, ოლესია ვართანიანი</i>	
2.1	ურთიერთკავშირი რეგიონული წესრიგის დავის დანარჩენ ორ ელემენტსა და კონფლიქტებს შორის	11
2.2	რეგიონული კონფლიქტები გეოპოლიტიკის მიღმა	14
2.3	წინადადება, ნაწილი I: კონფლიქტების მართვა	16
2.4	წინადადება, ნაწილი II: კონფლიქტების მართვიდან შეთანხმებაზე გადასვლა	23
2.5	წინადადება, ნაწილი III: რეგიონული სახელმწიფოებისა და სუბიექტების დამატებითი წახალისება პროცესებში ჩასართავად	24
2.6	დასკვნა	25
3.	კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ წესრიგზე	26
	<i>სამუელ ჩერეპი</i>	
4.	დანართი - „ტაივილის შემცირების“ მიმდინარე ღონისძიებები რეგიონში	35
	<i>ოლესია ვართანიანი, ანდრეი პოპოვი, ნიკოლაი სილავევი</i>	
4.1	საქართველო	35
4.2	მოლდოვა	37
	გამოყენებული ლიტერატურა	42
	ცხრილები და სურათები	46
	აბრევიატურები	46

ქვემოთ მოცემული თავები, პუბლიკაციიდან „კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ წესრიგზე პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში“ (რენდის კორპორაცია 2019), თარგმნილია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ, რენდის თანხმობით. სრული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:

www.rand.org/t/CF410

ბეჭდური და ელექტრონული განაწილების შეზღუდული უფლებები

წინამდებარე დოკუმენტი და სამარკო ნიშანი (ნიშნები) დაცულია კანონით. „რენდის“ ინტელექტუალური საკუთრების ეს ნიმუში შექმნილია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის. აკრძალულია ამ პუბლიკაციის არასანქცირებული განთავსება ინტერნეტში. ნებადართულია ამ დოკუმენტის გადამრავლება მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, თუ მისი ფორმა უცვლელად და სრულად იქნება დაცული. „რენდის“ ნებისმიერი კვლევითი დოკუმენტის კომერციული მიზნით რეპროდუცირებისთვის ან სხვა ფორმით გამოყენებისათვის საჭიროა ამ კომპანიის ნებართვა. იმისათვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია ნებართვების ამობეჭდვისა და გაგზავნის შესახებ, ენვიეთ ვებ-გვერდს:

www.rand.org/pubs/permissions.

„რენდის კორპორაცია“ არის სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც შეიმუშავებს საზოგადოებრივი პოლიტიკის გამომწვევებთან გამკლავების გზებს, რათა ხელი შეუწყოს მთელ მსოფლიოში საზოგადოებების უსაფრთხოებასა და დაცულობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. „რენდი“ არის არაკომერციული, არაპარტიული ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

„რენდის“ პუბლიკაციები არ ასახავს მისი კვლევითი კლიენტებისა და სპონსორების მოსაზრებებს.

მხარი დაუჭირეთ „რენდს“

შეიტანეთ თქვენი წვლილი ქველმოქმედებაში და გადარიცხეთ თანხა, რომლიდანაც გამოიქვითება გადასახადი. მიჰყევით ბმულს:

www.rand.org/giving/contribute

www.rand.org

წინასწარმეტყველება

რუსეთის ურთიერთობები დასავლეთთან ძალიან დაძაბულია. ეს დაძაბულობა სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა, მათ შორის რუსეთის სავარაუდო ჩარევით აშშ-სა და ევროპულ არჩევნებში, რასაც მოჰყვა დიპლომატიური გაძევება და სანქციები. მიუხედავად ამ მოვლენებისა, არსებობს სხვა საკითხიც, რამაც თავდაპირველად გადაიყვანა ურთიერთობა რელსებიდან და დღემდე ფართო განხილვის თემად რჩება. ეს არის ბრძოლა უკრაინისა და სხვა შუალედური სახელმწიფოებისთვის, როგორცაა ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ბრძოლა გახდა თამაში ნამგებიანი ანგარიშით, სადაც არც ერთი მხარეა მოგებული. შედეგად, დასავლეთი და რუსეთი საშიში და საშიანო დაპირისპირების ჩიხში შევიდნენ, ხოლო მდგომარეობა აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში კვლავ არასტაბილური, არა-რეფორმირებული და კონფლიქტური რჩება.

ამ მდგომარეობის საფასური დიდია, თუმცა არც პოლიტიკოსებს და არც ექსპერტთა საზოგადოებას არ აქვთ ჩამოყალიბებული იდეები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს რეგიონული წესრიგის გადახედვა ისე, რომ ის მისაღები იყოს ყველა ამ სახელმწიფოსთვის სტაბილურობის მიღწევის, კონფლიქტების მოგვარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. მთავარ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებში მომნამკვლელი ატმოსფეროა, რამაც ოფიციალური განხილვა თითქმის შეუძლებელი გახადა. ამიტომ, ცალკეული მკვლევარებისთვის ძნელია ისეთი ალტერნატივების შეთავაზება, რომლებიც ითვალისწინებს რთულ და ხშირად წინააღმდეგობრივ ეროვნულ პერსპექტივებს.

ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის მხარდაჭერით და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპაში თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონულ ოფისთან პარტნიორობის ფარგლებში, „რენდის კორპორაციამ“ წამოიწყო პროექტი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამისათვის ჩვენ მოვიწვიეთ სამი წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც შემუშავებენ ალტერნატიულ მიდგომებს რეგიონულ წესრიგზე არსე-

ბული დავის სამი ძირითადი საკითხის მიმართ, როგორცაა უსაფრთხოების არქიტექტურა, ეკონომიკური ინტეგრაცია და რეგიონული კონფლიქტები. შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირიდან, რუსეთიდან და შუალედური ქვეყნებიდან მონვეული ექსპერტებისა და ყოფილი პოლიტიკოსების ამ ჯგუფებს დაევალებათ სამი მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარების ისეთი გზების პოვნა, როგორც ორივე მხარისთვის იქნებოდა მისაღები. მათი მუშაობის შედეგები წინამდებარე პუბლიკაციაშია წარმოდგენილი.

ეს პროექტი ჩატარდა „რენდის“ ეროვნული უსაფრთხოების კვლევის განყოფილების (NSRD) საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ცენტრში (ISDP). „რენდის“ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ცენტრის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.rand.org/nsrd/ndri/centers/isdp ან დაუკავშირდით დირექტორს (საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე).

მადლობის ნიშნად

მადლობას ვუხდით ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციას ამ პროექტის მიმდინარე და ადრეულ ეტაპებზე აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპაში თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონულ ოფისს - პარტნიორობისთვის. გარდა ამისა, მადლობას ვუხდით ლინ დევისსა და უილიამ ჰილს საფუძვლიანი მიმოხილვისა და პროექტის სამუშაო ვერსიაზე სასარგებლო კომენტარებისთვის.

1

შესავალი

სამუელ ჩერები

რუსეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობა ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი იბრძვიან, მათ შორის გეოგრაფიულად განლაგებულ ქვეყნებზე (პუბლიკაციაში მოხსენიებულია როგორც „შუალედური“ სახელმწიფოები) გავლენის მოსაპოვებლად. ეს ქვეყნებია: პირველ რიგში, უკრაინა, შემდეგ ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლამდე რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა იდეალური არ იყო, უკრაინის კრიზისმა ის სრულიად შეცვალა, გამორიცხა პარტნიორობის დარჩენილი იმედები და მოახდინა კონფრონტაციული დინამიკის ინსტიტუციონალიზაცია. ამ ქვეყნებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ შუალედურ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ყველაზე მძიმე მოვლენა იყო უკრაინის ომი, რომელშიც 13 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. სხვა რეგიონული კონფლიქტები მოხდა მოლდოვაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში. დაპირისპირების გამო ამ ქვეყნებში ასევე მოიშალა რეგიონული ვაჭრობის ფორმები და შეფერხდა რეფორმისა და შიდა ტრანსფორმაციის პროცესი. შესაბამისად, ამ ყველაფრის შედეგად, აღნიშნულ პროცესებში ჩართული ყველა მხარე - რუსეთი, დასავლეთის ქვეყნები და შუალედური სახელმწიფოები ამჟამად ნაკლებად უსაფრთხო და წარმატებული არიან.

ეს დავა არსებითად ეხება წესების, ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც მართავს რეგიონს ანუ რეგიონულ წესრიგს. მთავარმა აქტორებმა (ევროკავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა) ამ რეგიონის მიმართ გაატარეს პოლიტიკა, რომლის შედეგიც არის დღევანდელი არეულობა და არასტაბილურობა. ამ ნეგატიური შედეგების მიუხედავად, მცირეა მინიშნება იმაზე, რომ პროცესებში ჩართული რომელიმე სახელმწიფო მზად არის გადახედოს არსებულ მიდგომებს. ნაწილობრივ, კრიტიკული თვითრეფლექსიის

არარსებობა არის ამ სახელმწიფოების ურთიერთობების გაუარესების შედეგი. ამასთან, ამჟამინდელი უძრავობა ასევე გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ახალი იდეები და წინადადებები პრობლემის გადასაჭრელად.¹ მართლაც, დასავლეთში პოლიტიკური დებატები რეგიონულ წესრიგთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დაპირისპირებას ევროატლანტიკური ინსტიტუტების (ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის [ნატოს]) შემდგომი გაფართოების მომხრეებსა და ამ ინსტიტუტების კრიტიკოსებს შორის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გაფართოებამ გამოიწვია არსებული კრიზისი და ის უნდა შეჩერდეს.² ადგილობრივ დონეზე, ეს დებატები სულ უფრო და უფრო შორდება რეალობას: სხვადასხვა მიზეზის გამო, დღესდღეობით შუალედური ქვეყნების შემდგომი გაფართოება შეუძლებელია და ასეც გაგრძელდება. ამ ქვეყნების გარეთ მათი გავლენა ძალიან მცირეა. უფრო მეტიც, არსებული მდგომარეობის გამო, აღნიშნული სახელმწიფოები ვერ აკმაყოფილებენ ნევრობის მოთხოვნებს. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია სამ, ყველაზე სავარაუდო, ნევრობის ასპირანტ ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტებით, მათ შორის, უკრაინის ომით. ამასთან, შემდგომი ევროატლანტიკური გაფართოების კრიტიკოსები ძირითადად ითხოვენ შეჩერდეს პოლიტიკა (რომელიც, მათი აზრით, არასწორია), იმის ნაცვლად, რომ შეიმუშაონ თანმიმდევრული ალტერნატიული

1 ნაწილობრივად, მნიშვნელოვანი გამონაკლისი არის „დაბრუნება დიპლომატიაში“, მოხსენება, რომელიც დაწერილია ცნობილი ადამიანების ჯგუფის მიერ როგორც საერთო პროექტი ევროპის უსაფრთხოების შესახებ (ვენა: ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, 2015).

2 იხილეთ, მაგალითად: ლუკ კოფი, „ნატოს ნევრობა საქართველოსთვის: აშშ-სა და ევროპული ქვეყნების ინტერესი“, ვაშინგტონი, „ჰერითიჯ ფაუნდემენი“, სპეციალური ანგარიში No. 199, 2018 წლის 29 იანვარი; და ჯონ მენარმაიმერი „ნატომ არის უკრაინის კრიზისი დასავლეთის ბრალი“, საგარეო საქმეები, ტ. 93, No. 5, 2014 წლის სექტემბერი და ოქტომბერი.

მიდგომა რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების მოსაგვარებლად. იმავდროულად, რუსეთი მეტწილად ორიენტირებულია იმაზე, რომ შეენიანაღმდეგოს ევროატლანტიკური ინსტიტუტების შემდგომ გაფართოებასა და არსებული ალიანსების კონსოლიდაციას და არ აყენებს დღის წესრიგს, რამაც შეიძლება შეცვალოს დამანგრეველი რეგიონული დინამიკა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ბელორუსია, რომელმაც წამოაყენა წინადადება - რეგიონული კონფერენცია „ჰელსინკი II“ (ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტის მსგავსად), რეგიონის დანარჩენ მთავრობებს კი ახალი იდეები არ შეუმუშავებიათ.³

მოკლედ, რეგიონში სტატუს-კვოს⁴ შენარჩუნება გაახანგრძლივებს არასტაბილურობას და ხანგრძლივი ცივი ომის მსგავს ატმოსფეროს დასავლეთსა და რუსეთის შორის ურთიერთობებში. სწორედ ეს იქნება პროცესებში ჩართული სახელმწიფოების ქმედება, თუ ისინი ვერ შექმნიან ყოვლისმომცველ და ორმხრივად მისაღებ ალტერნატივას. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი არის ამ ინტელექტუალური სიციარიელის შევსება და ახალი რეგიონული წესრიგის გამოკვეთა, რომელიც შეაჩერებს რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებას და ხელს შეუწყობს დაზარალებული სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. წესრიგში ვგულისხმობთ:

„იმ წესების, ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს მთავარ მოთამაშეებს შორის... წესრიგი არის სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობების სტაბილური, სტრუქტურირებული ნიმუში, რომელიც მოიცავს შემადგენელი ნაწილების, მათ შორის, წარმოქმნილი ნორმების, მარეგულირებელი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების გარკვეულ კომბინაციას.“⁵

წინამდებარე პუბლიკაციაში ჩვენ დავშალეთ რეგიონული წესრიგის კონცეფცია სამ კომპონენტად, რომლებიც არსებითია ზემოთ აღნიშნული დავისთვის: უსაფრთხოების არქიტექტურა, ეკონომიკური ინტეგრაცია და რეგიონული კონფლიქტები.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ალტერნატივის აღწერამდე მნიშვნელოვანია განისაზღვროს

რეგიონული წესრიგის ამჟამინდელი მდგომარეობა. დღეს ამ რეგიონში (იხილეთ რუკა ნახაზზე 1.1) წესრიგი არ მოქმედებს. უსაფრთხოების არქიტექტურა განისაზღვრება მეტოქეობით, ერთი მხრივ, ნატოსა და მის წევრ ქვეყნებს, და, მეორე მხრივ, რუსეთს (და მასთან ერთად რუსეთის მიერ მართულ „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას“) შორის. ამ უკანასკნელის წევრები არიან სომხეთი და ბელორუსია, ხოლო უკრაინა და საქართველო ნატოში განწევრიანებისკენ ისწრაფვიან. მოლდოვა და აზერბაიჯანი კვლავ ნეიტრალურები რჩებიან. თუმცა ორივე ბლოკი ღიად ტოვებს შუალედური სახელმწიფოების ინტეგრირების პერსპექტივას. შესაბამისად, ექვსივე ქვეყანაზე უარყოფითად აისახება მთავარი სახელმწიფოების დაპირისპირება მათ მისამხრობად, მათ შორის ბოლო წლებში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ომები. მსგავსი ვითარებაა ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებითაც. სომხეთი და ბელორუსია განწევრიანებული არიან ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (EAEU) - სავაჭრო ბლოკში, რომელსაც ხელმძღვანელობს რუსეთი და რომელსაც აქვს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე სუპრანაციონალური გადანყვეტილებების მიღების ძალაუფლება. საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებებს, რომლებიც, ვაჭრობის ლიბერალიზაციის გარდა, ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში ევროკავშირის მოქმედი და სამომავლო კანონებისა და წესების შეტანას.⁶

(აზერბაიჯანი, რომელიც ძირითადად ნახშირ-წყალბადებით ვაჭრობს, ისევ არაა დაკავშირებული არც ერთ ბლოკთან). ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა (EAEU) და ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმები შეუთავსებელია და არ არსებობს რეგულარული დიალოგი ბლოკის შესაბამის კომისიებს შორის. შუალედური სახელმწიფოები დგანან დილემის წინაშე და ეკონომიკური კავშირები მათ შორის ან ერთ-ერთ ბლოკთან გაუარესებულია. გრძელვადიანი მოლაპარაკებები რეგიონული კონფლიქტების მოგვარების საკითხზე წლების (ზოგიერთ შემთხვევაში, ათწლეულების) განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა კონფლიქტის მართვაში მხოლოდ მცირე პროგრესია, შეთანხმებების მიღწევის კუთხით კი - არანაირი პერსპექტივა. დიდწილად, ეს იყო კონფლიქტებისა და რეგი-

3 არტიომ შრაიბმანი, „ბელორუსია, ტაქტიკური მშვიდობისმყოფელი“, კარნეგის მოსკოვის ცენტრი, 2018 წლის 25 ივნისი.

4 მთელ ამ პუბლიკაციაში ტერმინი სტატუს-კვო გამოიყენება არსებული ვითარების აღსაწერად; ის არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენს სტაბილურ წონასწორობას.

5 მაიკლ ჯ. მაზარი, მირანდა პრიბე, ენდრიუ რადინი და ასტრიდ სტუტ სევალოსი, „არსებული საერთაშორისო წესრიგის აღქმა“, სანტა მონიკა, კალიფორნია: „რენდის კორპორაცია“, RR-1598-OSD, 2016 წ.

6 ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებები წარმოადგენს უფრო ფართო ასოციირების შეთანხმებების ნაწილს, რომლებშიც შეტანილი მთელი რიგი საკითხები ეკონომიკურ სფეროს სცდება, ხოლო თავად ევროკავშირში ინტეგრაციას მრავალი შესაბამისი სახელმწიფო გეოპოლიტიკურ საკითხად აღიქვამს.

ონულ წესრიგზე არსებული დავის სხვა ელემენტების ურთიერთდაკავშირების ფუნქცია. ამასობაში, პან-რეგიონულმა მექანიზმებმა (მაგალითად, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ), რომლებიც სამივე ასპარეზზე წესრიგის დასამყარებლად შეიქმნა, აშკარად ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს და დიდწილად ჩიხში აღმოჩნდნენ.

სურ. 1.1
რეგიონის რუკა



ეს რეგიონული წესრიგის დღევანდელი მდგომარეობაა. დაპირისპირებული საგარეო ძალები ატარებენ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ დღის წესრიგებს, რომლებიც ურთიერთშეუთავსებელია და ქმნის ორმაგ არჩევანს რეგიონის სახელმწიფოებისთვის. კონფლიქტები, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან მწვავეა, საზიანო გავლენას ახდენს ექვსიდან, ხუთ შუალედურ ქვეყანაზე. ეს სახელმწიფოები რუსეთსა და დასავლეთის შორის არსებული შეჭიბრის მთავარი საბრძოლო მოედანი გახდა (თუ ერთადერთი არა). ამ მოედანს, როგორც ჩანს, არ გააჩნია რაიმე მოქმედი წესი, რამაც შეიძლება შეჭიბრი დაასტაბილუროს. დინამიკა არაპროდუქტიული აღმოჩნდა ყველა მხარისთვის, განსაკუთრებით კი შუალედური სახელმწიფოებისთვის, რომელთა უსაფრთხოებასა და ეკონომიკაზეც პირდაპირ აისახა უარყოფითი შედეგები. გარდა ამისა, მათ წართმეული აქვთ მოქმედების საშუალება რუსეთსა და დასავლეთს შორის ინტენსიური დაპირისპირების გამო.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მთავრობებს შორის არსებული დაძაბულობა, რაც გამოიხატება მთელი რიგი დავებით, დაწყებული რუსეთის სავარაუდო ჩარევით 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში და დამთავრებული უკრაინის დონბასის რეგიონში მიმდინარე

ომით, ძალზე საეჭვოს ხდის განახლებული რეგიონული წესრიგის შესახებ მოლაპარაკებებს უახლოეს პერიოდში. უკეთეს პოლიტიკურ კლიმატურ პირობებშიც კი, ასეთ მოლაპარაკებებში მონაწილეობა წარმოუდგენლად რთული იქნება, რადგან ისინი შეეხება თემებს, რომლებზეც ღიად არასდროს ყოფილა მოლაპარაკება ერთ მაგიდასთან რუსეთს, დასავლეთის ძალებსა და აღნიშნული რეგიონის ქვეყნებს შორის. ამის მიუხედავად, მომავალში, შეიძლება გამოჩნდეს შესაძლებლობის ფანჯარა, ვინაიდან სტატუს-კვო დროთა განმავლობაში გაუარესდება და, შესაბამისად, დაზარალებული სახელმწიფოებისთვის ამის საფასური ძალიან დიდი იქნება. ეს პროექტი მიზნად ისახავდა გადანაცვეტილების მიმღები პირებისთვის იდეების მიწოდებას, როგორ უნდა ისარგებლონ ასეთი შესაძლებლობით, თუ ის გამოჩნდება. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული ჩიხის ერთ-ერთი მიზეზი არის შემდეგი: არ არსებობს თანხმობა იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს სტატუს-კვოს ორმხრივად მისაღები ალტერნატივა. ამრიგად, ამგვარი ალტერნატივის აღწერა ხელს შეუწყობს ამ გამოუვალი მდგომარეობის დაძლევას.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ყოველისმომცველ წინადადებას რეგიონული წესრიგის გადასინჯვის შესახებ. წინადადების დეტალური კომპონენტები, რომლებიც მოიცავს სამ ელემენტს, შეიმუშავა „რენდის კორპორაციისა“ და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპული თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონული ოფისის მიერ მონვეული ექსპერტების სამმა ჯგუფმა. თითოეულ ჯგუფს ჰყავდა წარმომადგენლები დასავლეთიდან, რუსეთიდან და შუაღმერთიდან. მონაწილეთა სახელები ჩამოთვლილია შესაბამის თავებში, რომლებშიც მათ წვლილი შეიტანეს. თითოეული მათგანი მონაწილეობდა პირადი სტატუსით და არ წარმოადგენდა მათი მთავრობის შეხედულებებს, მაგრამ ჯგუფები ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ყველა შესაბამისი მთავრობის ინტერესი. ჩვენ დამატებითი სარგებელი მივიღეთ მმართველი კომიტეტისგან, რომელიც ამ პროცესის დასაწყისში მითითებებს გვაძლევდა და უკუკავშირს გვანვლიდა წინადადებების პროექტებზე.⁷ თითოეულ ჯგუფს მოუწია კომპრომისზე წასვლა საერთო ენის მოსაძებნად. შედეგად მიღებული წინადადებები ასახავს მოლაპარაკებების პროცესს და, სავარაუდოდ, არ მოეწონებათ მათ, ვინც სრულ გამარჯვებას ცდილობს. ამ დრამის ძირითადი მონაწილეების წარმომადგენლების ჯგუფების მონვევისას, ჩვენი მიზანი იყო, რომ წინადადებებს აესახა მრავალმხრივი მოლაპარაკებების პირობები, მათ არც თუ ისე იდეალურ შედეგებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა შემოთავაზებებისა, ამ პუბლიკაციაში გამოყენებული ენაც ასახავს იმ ავტორებს შორის კონსენსუსის პოვნის პროცესს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შეხედულებები ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორცაა საზღვრები. ამიტომ, უარი ვთქვით ისეთი ტერმინების გამოყენებაზე, რომლებიც საეჭვოა ამა თუ იმ ეროვნული პოზიციის სადავო საკითხებთან დაკავშირებით.

ჯგუფებს უჩვეულო დავალება მიეცათ. დღევანდელი პრობლემების ანალიზისა და რეკომენდაციების დაუყოვნებლივ შემოთავაზების ნაცვლად, მონაწილეებს ვთხოვეთ ყურადღება გაემახვილებინათ იმაზე, თუ რა იქნებოდა სასურველი პოლიტიკა სტატუს-კვოს ორმხრივად მისაღები ალტერნატივის მისაღწევად საკმა-

რისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. შეგნებულად ვერიდებოდით ნაბიჯების შეთავაზებას, რომლებიც პოლიტიკოსებმა უნდა გადადგან არსებული ვითარების გამო.⁸ ამის ნაცვლად, ჩვენი წინადადება ეხება მომავალი შესაძლებლობის ფანჯარას. შესაბამისად, თავისი არსით, მომდევნო სამ თავში⁹ მოცემული წინადადება არ არის გამიზნული დღესვე შესრულებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებული სახელმწიფოების ფართო საზოგადოებამ განიხილოს ეს შეთავაზება, რადგან, თუ იგი განხორციელდება, მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს ყველა მხარეს. ახალი რეგიონული წესრიგი ხელს შეუწყობს სტაბილურობას; გაზრდის კეთილდღეობას; შეზღუდავს დიდი ძალაუფლების კონკურენციას რეგიონში და ამით სტაბილურს გახდის რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებას; ასევე, უკეთესად წარმართავს არსებულ ხანგრძლივ კონფლიქტებს, ამავდროულად, გაზრდის მათი მოგვარების შანსებს. ამრიგად, ახალი წესრიგი შეზღუდავს დიდი ძალების დაპირისპირებას რეგიონში და დაასტაბილურებს საერთო კონკურენციას რუსეთსა და დასავლეთს შორის. რაც მთავარია, აღნიშნული წინადადება არ გულისხმობს რომელიმე სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული წითელი ხაზების გადაკვეთას და, ამრიგად, შესაძლოა ყველასათვის მისაღები იყოს. ეს არის ალტერნატიული მომავლის ხედვა და წარმოადგენს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას სტატუს-კვოსთან შედარებით. ამ სტატუს-კვოს უარყოფითი შედეგები დროთა განმავლობაში მხოლოდ უფრო მძაფრი გახდება; ამიტომ, სავარაუდოდ, მომავალში უფრო მეტი სტიმული იქნება არსებული მიდგომების გადახედვისა და მოლაპარაკებების დასაწყებად.

მართლაც, არჩევანი, რომლის წინაშეც საბოლოოდ ყველა მხარე დადგება, არის კომპრომისზე შეთანხმება ან არასტაბილურობის გაგრძელება, რაც შესაძლოა უფრო მძაფრიც გახდეს. რუსეთში, შუაღმერთი სახელმწიფოებში და დასავლეთში არიან ისეთებიც, ვისაც სჯერა, რომ არსებობს მესამე ვარიანტი: ლოდინი, სანამ მეორე მხარე დაიშლება, განადგურდება ან მკვეთრად შესუსტდება და შემდეგ სასურველი შედეგის მიღწევა. როგორც ბოლო რამდენიმე წელი აჩვენებს, ეს მიდგომა აუცი-

7 ჯგუფში შედიოდნენ: სამუელ ჩერევი, უფროსი მეცნიერი პოლიტოლოგი, „რენდის კორპორაცია“; რენიჰარდ კრუმი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპაში თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონული ოფისის, ფრიდრიხ ებერტის ფონდი; ჯერემი შაპირო, კვლევის დირექტორი, საგარეო ურთიერთობათა ევროპული საბჭო; ოლექსანდრ ჩალი, პრეზიდენტი, „გრანტ თორტონი უკრაინა“; გედლონ სანე, დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრი, ბერლინი; იულია ნიკიტინა, ასოცირებული პროფესორი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი; და პოლონელი მონაწილე, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ამჯობინა...

8 ეს საკითხი ნაწილობრივ იქნა განხილული ამ პროექტის პირველი ფაზის პუბლიკაციებში. სამუელ ჩერევი, ალისა დემუსი და ჯერემი შაპირო, რედაქტორები, „გამოსვლა „შუაღმერთი ზონიდან“: რეგიონული წესრიგის პერსპექტივები პოსტსაბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში“, სანტა მონიკა, კალიფორნია: „რენდის კორპორაცია“, CF-382-CC/SFDFA, 2018 წელი; და სამუელ ჩერევი, ჯერემი შაპირო და ალისა დემუსი, „რეგიონული წესრიგის გადახედვა პოსტსაბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში“, სანტა მონიკა, კალიფორნია: „რენდის კორპორაცია“, PE-297-CC/SFDFA, 2018 წელი.

9 თარგმანი მოიცავს წინასიტყვაობას, მე-4 და მე-5 თავებსა და დანართს (მთარგმნელის კომენტარი).

ლებლად მოიტანს არასტაბილურობასა და დაუცველობას მოკლევადიან პერსპექტივაში. ნაკლებად მოსალოდნელ შესაძლებლობასთან (როგორცაა მეორე მხარის განადგურება) დაკავშირებულ გრძელვადიან იმედს კი მხოლოდ მოაქვს კონკრეტული და ნაკლებად გარანტირებული შედეგი (სასურველის მიღწევა).

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი წინადადება არ შეიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც ამჟამინდელ პოლიტიკურ გარემოში უნდა ამოქმედდეს, მაგრამ ის წარმოადგენს რეგიონული წესრიგის გადასინჯვის გეგმას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, როდესაც ცვლილებების შესაძლებლობა გაჩნდება. მომდევნო სამ თვეში წარმოდგენილია წინადადების სამი ელემენტი. ბოლო თვეში მოცემულია მთლიანი წინადადების შეჯამება და შედარება ამ წინადადებასა და სტატუს-კვოს შორის. შეთავაზების განსახორციელებლად, მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს ყველა მხარის ამჟამინდელი პოლიტიკა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, მოკლევადიან პერსპექტივაში ეს ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, როგორც შემდეგი თავები ცხადყოფს, შესაძლებელია ალტერნატივის შექმნა, რომელიც ყველას მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს. მიმდინარე პოლიტიკური დებატები აჩვენებს, რომ არ არსებობს ასეთი ალტერნატივები, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს პუბლიკაცია ცხადყოფს, რომ მომავალში პოლიტიკოსებს ნამდვილად ექნებათ უკეთესი შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ თავებზე, რომლებშიც წვლილი შეიტანეს, მათ და მმართველ კომიტეტს ჰქონდათ შესაძლებლობა მთელი დოკუმენტისთვის გადაეხედათ. შემდეგ ისინი დათანხმდნენ, რომ მათი სახელები მასთან იქნებოდა დაკავშირებული. ეს გულისხმობდა კონსენსუსის მიღწევის პროცესს, რაც ზოგჯერ რთული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. ზოგი მონაწილე, მათ შორის უკრაინიდან, ამტკიცებდა, რომ ყირიმი წარმოადგენს საკითხს, რომელიც უნდა გადაწყდეს რეგიონულ წესრიგზე მიმდინარე ნებისმიერი მოლაპარაკების დროს.¹⁰ სხვები თვლიან, რომ რეგიონული წესრიგის გადახედვისას, ყველა მონაწილე მხარე შეიძლება შეთანხმდეს, რომ, პირდაპირ თუ ირიბად, გვერდით გადადოს ან თაროზე შემოდოს უკიდურესად რთული, სადავო საკითხი, მაგალითად, ყირიმი.

10 ერთმა უკრაინელმა მონაწილემ, ვასილ ფილიპჩუკმა, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა თავის მოსაზრებას, რომ უკრაინის სუვერენიტეტი ყირიმზე უნდა აღდგეს რეგიონულ წესრიგზე წარმოებული ნებისმიერი მოლაპარაკების კონტექსტში. იხილეთ, ვასილ ფილიპჩუკი, „როგორ უნდა იყოს უკრაინის პოზიცია რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის მიმოხილვის შესახებ“, აპოსტროფი, 2019 წლის 28 აგვისტო.

ვგულისხმობთ, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ არ თანხმდებიან ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტალზე, თუმცა უფრო ფართო საკითხებზე კომპრომისს გამოიხატავენ.

2

რეგიონული კონფლიქტები

სამუელ ჩერეპი, ვასილ ფილიპჩუკი, ულრიხ კუპნი, ანდრეი პოპოვი, ნიკოლაი სილაევი, ოლესია ვართანიანი

პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში რეგიონული წესრიგის გადასინჯვის ნებისმიერი სამომავლო მცდელობა უნდა ეხებოდეს რეგიონში არსებული გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარებას. კონფლიქტებით დაზარალებული სახელმწიფოებისთვის, ისინი წარმოადგენს უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას და შიდა პოლიტიკის მთავარ კომპონენტს. მთლიანად რეგიონში, კონფლიქტები ზღუდავს ვაჭრობას, ზრდის სოციალურ გაჭირვებას, ასუსტებს მმართველობას, ამწვავებს დაძაბულობას და ზღუდავს ხალხთა შორის ურთიერთობას. საერთაშორისო დონეზე, კონფლიქტის ზონების სტატუსთან დაკავშირებულ დავას და მესამე მხარეების ამტერითორიებზე ყოფნას მრავალმხრივი მოლაპარაკებები ხშირად ჩიხში შეყავს. დასავლეთის მრავალი სახელმწიფო კონფლიქტების დინამიკის - განსაკუთრებით კი რუსეთის ქვეყნის შეცვლას რეგიონული წესრიგის ფართო განხილვაში მონაწილეობის წინაპირობად მიიჩნევს. თავის მხრივ, რუსეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ რეგიონული სტაბილურობის მისაღწევად უნდა შეიცვალოს დასავლური მიდგომები კონფლიქტებისადმი.

ახალმა რეგიონულმა წესრიგმა, უნდა მოიტანოს გარკვეული პროგრესი კონფლიქტებში. შეუძლებელია, უსაფრთხოების არქიტექტურასა და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა დავების განხილვა, კონფლიქტების მოსაგვარებლად პარალელური ნაბიჯების გადადგმის გარეშე.

ამ თავში მოცემულია კონფლიქტების მოგვარების ჩარჩო, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისგან შედგება: შესაბამისი მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ გადადგამენ სხვადასხვა ნაბიჯს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ადგილზე არსებული დაძაბულობის

შესამცირებლად, ამავდროულად აიღებენ განახლებულ ვალდებულებას, რომ მიაღწევენ შეთანხმებას, რომელსაც მხარს დაუჭერს ყველა მხარე. ამგვარ ჩარჩოში გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ნაბიჯები კონფლიქტების შედეგების შემსუბუქებისკენ, ხოლო დაზარალებულ ქვეყნებში ის კიდევ უფრო მეტ ნდობას გააჩენს, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატები განახლებული მიზნით იმუშავებს. ამგვარი ჩარჩო არ იძლევა შედეგების გარანტიას, მაგრამ წონასწორობას აშკარად ემსახურება: ადგილობრივ დონეზე მდგომარეობის დასტაბილურებაში ხელშეწყობის სანაცვლოდ, კონფლიქტით დაზარალებული სახელმწიფოები მიიღებენ მკაცრ პოლიტიკურ ვალდებულებას შესაბამისი მხარეებისგან (როგორცაა შეერთებული შტატები, რუსეთი, ევროკავშირი და მისი მთავარი წევრი ქვეყნები და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია [ეუთო]), რომ გააძლიერებენ ძალისხმევას ორმხრივი შეთანხმების მიღწევის მიზნით.

ჩვენი წინადადება გულისხმობს რეგიონულ წესრიგზე არსებული დავის დანარჩენი ორი ელემენტის - უსაფრთხოების არქიტექტურისა და ეკონომიკური ინტეგრაციის, ან გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის - განხილვას პარალელურ პროცესებში, სადაც მიიღწევა მნიშვნელოვანი პროგრესი და შესაძლებელია მთავარი მხარეებისათვის ორმხრივად მისაღები შეთანხმების პოვნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ინსტრუმენტთა ერთობლიობა უნდა განხორციელდეს ისეთ რეგიონულ კონტექსტში, რომელიც არსებითად განსხვავდება დღევანდელისგან ამ პარალელური მოლაპარაკებების შედეგად შექმნილი ატმოსფეროს გამო. ჩვენი აზრით, მოლაპარაკებები წარმატებული რომ იყოს, ისინი სამ პროცესად უნდა ჩატარდეს პარალელურ რეჟიმში. ჩვენი წინადადებები გამიზ-

ნულია მომავლის შესაძლებლობების პოტენციური ფანჯარისთვის, რომელიც დღეს არ არსებობს.

გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რას არ ეხება ეს თავი. ჩვენ არ ვაკრიტიკებთ და არც განვიხილავთ არსებული მოლაპარაკებების ფორმატის მიღწევებს ან კონფლიქტებთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებებს. ჩვენ არ ვსაუბრობთ გადანყვებილებზე, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია, თუ დღევანდელი გეოპოლიტიკური კონფლიქტების დონე შენარჩუნდება. ასევე, მაქსიმალურად ვერიდებათ კონკრეტულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეკომენდაციებს. ამის ნაცვლად, ჩვენი მიზანია აღვწეროთ ორმხრივად მისაღები ჩარჩო, რომელიც შეეხება რეგიონულ წესრიგზე არსებული დავის ამ მთავარი ელემენტის (კონფლიქტების) მოგვარებას.

ამ თავის დანარჩენი ნაწილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: პირველ რიგში, ჩვენ გავანალიზებთ კავშირებს კონფლიქტებსა და რეგიონულ წესრიგზე არსებული დავის დანარჩენ ორ ელემენტს შორის. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ საჭიროა პროგრესის მიღწევა მოლაპარაკებებში, რომლებიც ეხება ერთ ან მეტ რეგიონულ კონფლიქტს, სანამ დაიწყება დანარჩენი ორი ძირითადი საკითხის განხილვა. მართალია, თეორიულად შესაძლებელია ასეთი მცირე ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ჩვენი ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკაში ისინი რჩება სუსტ, ცვალებად და შეზღუდულ პარალელურ მცდელობებად სხვა საკითხებთან, განსაკუთრებით კი უსაფრთხოების არქიტექტურასთან მიმართებაში. ჩვენ გიჩვენებთ, რომ არსებული პირობები, რომლებშიც უსაფრთხოების არქიტექტურა და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები ძალზე სადავოა - წარმოადგენს კონკრეტულ, მნიშვნელოვან დაბრკოლებას კონფლიქტების მართვისთვის და, განსაკუთრებით, წესრიგისთვის. თემები ძალიან ღრმად არის გადაჭაჭვული, რომ ცალკე იქნეს განხილული. ჩვენ ასევე აღვწერთ, თუ როგორ მოიტანს ორ დანარჩენ საკითხზე პროგრესის მიღწევა პირდაპირ სარგებელს კონფლიქტების მართვის კუთხით.

არიან ისეთებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ რეგიონული კონფლიქტები გაქრება, თუ გეოპოლიტიკურ დავაში საკმარისი წინსვლა იქნება იმისთვის, რომ სეპარატისტული მოძრაობების გარე სპონსორობა შეწყდეს. მაგრამ მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ რეგიონულ დავებთან დაკავშირებული დინამიკის გარდა, არსებობს სხვა დინამიკაც, რომელიც იწვევს კონფლიქტებს. ამიტომ ცხადი ხდება, რომ კონფლიქტების მოსაგვარებლად კონკრეტული პროცესი იქნება საჭირო.

შემდეგ აღვწერთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოს, რომელიც ამ პროცესიდან გამომდინარეობს. ეს ჩარჩო შედგება გარიგებისგან, რომელიც კონფლიქტის უფრო ეფექტურ მართვას უკავშირებს მოლაპარაკებების მოგვარების განახლებულ, საერთაშორისო ვალდებულებას. შევადგინეთ კონფლიქტის მართვის შესაძლო ღონისძიებების ორი გეგმა, რომლებიც მოიცავს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ტანჯვის შემსუბუქებას, სამხედრო დაძაბულობისა და შეიარაღებული შეტაკებების რისკის შემცირებას. ასევე აღვწერთ სტატუს-ნეიტრალურობის პრინციპებს, რომლებიც უნდა იქნას დაცული, რათა ქვეყნებმა შეძლონ აღნიშნული ზომების განხორციელება დადგენილი წითელი ხაზების გადაკვეთის გარეშე, მაშინაც კი, თუ ამ სახელმწიფოებს აქვთ ფუნდამენტური უთანხმოება.

კონფლიქტით დაზარალებულ სახელმწიფოებს არ ექნებათ ამ ზომების განხორციელების სურვილი, თუ არ გაუჩნდებათ იმედი, რომ დაპირისპირება მოლაპარაკებების გზით მოგვარდება. ამიტომ, ჩვენ მიერ შეთავაზებული მართვის პროცესი დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ძალისხმევის გაზრდასთან, ორმხრივად მისაღები შეთანხმებების მიღწევის მიზნით. ჩვენ აღვწერთ მთელ რიგ პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს მოლაპარაკებების დროს. დასკვნით ნაწილში განხილულია დამატებითი ნახალისება, რომელიც შეიძლება შევთავაზოთ სახელმწიფოებსა და სუბიექტებს ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ეს მოიცავს რეკონსტრუქციაში დახმარებას და შეიარაღებული ძალების გაყვანას.

2.1 ურთიერთკავშირი რეგიონული წესრიგის დავის დანარჩენ ორ ელემენტსა და კონფლიქტებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული კონფლიქტების უმრავლესობა ძირითადად დაიწყო ჯგუფებში არსებული უთანხმოების თუ პოლიტიკური დავების გამო, ყველა მათგანი (შეიძლება სხვადასხვა ხარისხით) გადაეჭაჭვა რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ შეტაკებებს. ეს კავშირი არსებითია როგორც უახლესი ისტორიის, ისე სამომავლო გაუმჯობესების პერსპექტივების გასაგებად. დამკვირვებლები და ოფიციალური მედიატორები ხშირად გამოთქვამენ კრიტიკას იმ ფაქტზე, რომ კონფლიქტების მოგვარების მიზნით, შექმნილ მოლაპარაკებათა სხვადასხვა ფორმატში, ძალიან მცირე პროგრესია მიღწეული. მართლაც, საკმაოდ იშვიათია მოკრძალებული ნაბიჯებიც კი, კონფლიქტის მართვის უფრო პროაქტიული, მრავალმხრივი ზომებისკენ, რომ აღარაფერი ვთქვათ კონფლიქტის მოგვარებაზე, მიუხედავად იმისა,

რომ დიპლომატები და ოფიციალური პირები დიდ შრომას დებენ ამ პროცესებში. ვფიქრობთ, რომ ამ ვითარებას საფუძვლად უდევს კავშირი კონფლიქტებსა და რეგიონული წესრიგის დანარჩენ ორ ასპექტს შორის. არსებული მდგომარეობა აჩვენებს, რომ შეთანხმებისკენ ან თუნდაც კონფლიქტების ეფექტური მართვისკენ გადადგმულ ნაბიჯებს შეიძლება ისეთი შედეგები მოჰყვეს დანარჩენ ორ სფეროში, რომ გადაწონოს ძირითადი მოქმედი პირების პოტენციური სარგებელი. რატომ დათანხმდება მხარე, მაგალითად, გააუმჯობესოს ჰუმანიტარული წვდომა კონფლიქტის ზონაზე, თუ ამით საფრთხეს შეუქმნის თავისი უსაფრთხოების უფრო ფართო ინტერესებს? ქვეყნებს აქვთ მცირე სტიმული, დათანხმდნენ კონფლიქტის მართვის ნაბიჯებს თუნდაც ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეთანხმების მიღწევას არ უკავშირდება. შემდეგ ნაწილში აღწერილია, თუ როგორ აფერხებს სტატუს-კვო კონფლიქტის მართვაში განხორციელებულ მცდელობებს და როგორ შეუძლია გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ დონეზე შეთანხმებას ხელი შეუწყოს ასეთ ძალისხმევას.

როგორ უშლის ხელს სტატუს-კვო კონფლიქტების მართვის ეფექტურობას

არსებობს მთელი რიგი მექანიზმები, რომელთა საშუალებით რეგიონულ წესრიგზე მიმდინარე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დავა მღუდავს შესაძლებლობების სფეროს, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტების ეფექტურ მართვას, ან შეთანხმებისკენ წასვლას. ერთი ძირითადი მექანიზმი ნათელია: რუსეთს მცირე სტიმული აქვს დაეთანხმოს შეთანხმებებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს ევროატლანტიკური ინსტიტუტების შემდგომი გაფართოების პერსპექტივები. ქვემოთ მოცემულია დამატებითი დაბრკოლებები, რომლებსაც ამჟამინდელი დავები ქმნის:

- ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობენ რეგიონული კონფლიქტებისთვის გამიზნულ სამშვიდობო ძალებში, დაუყოვნებლივ ხდებიან დაკავშირებულები გეოპოლიტიკურ დავასთან. ითვლება, რომ შესაბამისი გარე აქტორებისთვის საკუთარი გეოპოლიტიკური კონკურენცია უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ეფექტური სამშვიდობო ღონისძიება. მაგალითად, მხარეებმა არაერთხელ თქვეს უარი სამშვიდობო მისიაზე მთიან ყარაბაღში, ნაწილობრივ იმიტომ, რომ კონფლიქტმა გეოპოლიტიკური დაპირისპირების სახე არ მიიღოს.¹¹

- ამჟამად კონფლიქტების მართვა განიხილება, როგორც რუსეთის დღის წესრიგის განვითარება, რადგან ის აძლიერებს სტატუს-კვოს, რომელიც სხვა მხარეებისთვის მიუღებელია. მაგალითად, თბილისში ბევრს სჯერა, რომ კონფლიქტის ზონებში ცხოვრების დასტაბილურებისკენ გადადგმული ნაბიჯები ვითარებას უფრო მდგრადს გახდის. ამით გახანგრძლივდება სტატუს-კვო, რომელიც მათი აზრით მიუღებელია.¹² შესაბამისად, მაღალი გეოპოლიტიკური დაძაბულობა გარკვეულ შემთხვევებში ამცირებს სახელმწიფოებისა და სუბიექტების სურვილს, რომ კონფლიქტის მართვაში რუსეთთან ერთად ჩაერთონ.
- გეოპოლიტიკური დაძაბულობის ამჟამინდელი დონე ზოგიერთ რეგიონულ სახელმწიფოში აძლიერებს საფრთხის აღქმას, რადგან ჩნდება დიდი ძალების დაპირისპირების ცვცხელში მოხვედრის განცდა. მზარდი საფრთხის აღქმა, თავის მხრივ, ამცირებს ჰუმანიტარული ძალისხმევის სურვილს.
- ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ნევრობის პერსპექტივის გამო, ასპირანტი ქვეყნების მმართველი ძალები თვლიან, რომ ჯობია არ ჩაერთონ შერიგების ან კონფლიქტების მართვის სხვა მცდელობებში. ამ ქვეყნებში ბევრს მიაჩნია, რომ ევროკავშირში ან ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) ინტეგრაცია ან განწევრიანება არის გზა კონფლიქტის მოგვარებისკენ. არგუმენტი ისაა, რომ მაგნიტური მიზიდულობა, რომელიც ქვეყნებმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საშუალებით შეიძლება შექმნან, კონფლიქტის ხაზის მეორე მხარეს მყოფებს დაავიწყებს შიშს, წყენასა და მისწრაფებებს და გაუჩინს უპირობო გაერთიანების სურვილს.¹³

თხოვბის დილემის გადაწყვეტა“, კარნეგი ევროპა, 2016 წლის 16 ივნისი.

12 მაგალითად, ამან გამოიწვია საერთაშორისო არასამთავრობო, მათ შორის ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობის შეზღუდვა იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც მიმდინარეობს კონფლიქტი. იხილეთ საბინ ფიშერი, „ევროკავშირის არალიბარების და ჩართულობის პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ“, ბრიუსელი: ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი, 2010 წლის დეკემბერი.

13 მაგალითად, როდესაც მაშინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მან გააკეთა მიმართვა: „ჩემს დებს და ძმებს - აფხაზებს და სამხრეთ ოსეთის მკვიდრებს“, და განმარტა, რომ მათ „აქვთ უნიკალური შესაძლებლობა ისარგებლონ ევროპასთან ასოცირებით მოტანილი სიკეთით.“ აშკარა ვარაუდი ჩანს, რომ „ევროპასთან ასოცირებით“ თავიდან იქნება აცილებული სამოგადოების შერიგების საჭიროება. „საქართველო და ევროკავშირი ხელს აწვდის ასოცირების ხელშეკრულებას,“ სამოქალაქო საქართველო, 2014 წლის 27 ივნისი.

11 თომას დე ვალი, „კავკასიის პატიმრები: ყარაბაღის უსაფრ-

- რეგიონული წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით რუსეთთან ფართო კონფრონტაციის შედეგად, დასავლეთის პოლიტიკოსები თავს იკავებენ, რომ ცხადად ნაახალისონ რეგიონის სახელმწიფოები კონფლიქტების მართვაში ჩართვისკენ. ზოგიერთის აზრით, მსგავსი ქმედება იქნებოდა რუსეთისთვის უფლებების მიცემა, რომ ვეტო დაადოს რეგიონულ სახელმწიფოებთან დასავლეთის ჩართულობას.¹⁴
- გეოპოლიტიკურმა უთანხმოებამ შეასუსტა ძირითადი მულტილატერალური ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ კონფლიქტების მართვის მანდატი. ამ ინსტიტუტებში პირველ რიგში ვგულისხმობთ ეუთოსა და ევროსაბჭოს. ორგანიზაციები გადაიქცნენ გეოპოლიტიკური შეტაკების ბრძოლის ველად, რითაც მკვეთრად შეიზღუდა მათი ეფექტურობა კრიზისებსა და კონფლიქტებზე რეაგირებაში.¹⁵
- გეოპოლიტიკური დაძაბულობები იყო ესკალაციური სპირალების მოძრაობის ძირითადი ფაქტორი ადგილობრივ დონეზე, რამაც ომი და, შედეგად, კონფლიქტების მართვის სრული რღვევა გამოიწვია. მაგალითად, ნატო-სკენ საქართველოს მისწრაფებებზე დავამ 2008 წლის აპრილის ნატოს სამიტის დროს ბუქარესტში და მის შემდეგ ხელი შეუწყო დაძაბულობას, რამაც განაპირობა ომი, რომელიც ოთხი თვის შემდეგ მოხდა.¹⁶
- ზუსტად ასევე, გეოპოლიტიკური დაძაბულობა ადგილობრივ დონეზე ქმნის სახელმწიფოების ესკალაციის სტიმულს, რათა განვითარდეს მოლაპარაკებების პროცესები საერთაშორისო დონეზე.
- რეგიონში სავაჭრო რეჟიმების გეოეკონომიკური კონკურენცია, კიდევ უფრო ართულებს ისეთი ტიპის კომერციას, რომელსაც კონფლიქტის ხაზების გადაკვეთა სჭირდება.¹⁷

14 ეს გამოცემა აღწერს მსგავს შემთხვევას საქართველოსთან დაკავშირებით: დეიმონ უილსონი, „საქართველოს გზა ნატოსკენ“, ვაშინგტონი: ატლანტიკ ქაუნსილი, 2014 წლის თებერვალი, გვ. 2

15 ეუთო-ზე ზემოქმედების შესახებ იხილეთ შტეფან ლენი, „ეუთოს აღორძინება: ევროპის უსაფრთხოება და უკრაინის კრიზისი“, ვაშინგტონი, კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისთვის, 2015 წლის 22 სექტემბერი. ნაწილობრივი გამოწვავის იყო ეუთოს სპეციალური მონიტორინგის მისია უკრაინაში.

16 იხილეთ, ჩერეპი და კოლტონი, 2017, გვ. 93–94; და თომას დე ვალი, „კავკასია: შესავალი“, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2010, გვ. 208–209.

17 ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს საქართველოში.

ორი მთავარი საკითხის დადებითი გავლენა კონფლიქტების მართვასა და შეთანხმების პროცესებზე

როგორც სტატუს-კვო უშლის ხელს კონფლიქტებში ნაბიჯების წინ გადადგმას, ასევე დანარჩენ ორ მთავარ სფეროში პროგრესის მიღწევა ხელს შეუწყობს კონფლიქტის უფრო ეფექტურ მართვას და გააუმჯობესებს და ორმხრივად მისაღები შეთანხმებების მიღწევის პერსპექტივებს. კერძოდ, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დავების შეთანხმებისკენ სვლა ყველა მხარეს ნაახალისებს, რომ ჩაერთონ კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ეს ნაახალისება მოიცავს შემდეგს:

- მოსკოვს კონფლიქტებზე მოლაპარაკებების განვითარების ბევრად მეტი სტიმული ექნებოდა, თუ პარალელურად მოხდებოდა შეთანხმება რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტების შემდგომი გაფართოების ნორმებზე. ამჟამად, რუსეთისთვის არსებობს ერთადერთი გზა, რომ შეაჩეროს ევროატლანტიკური სტრუქტურების მოძრაობა თავისი საზღვრებისკენ: ამისთვის მეტი ფასი უნდა გაიღოს, მათ შორის არსებული კონფლიქტების საშუალებით. საკითხი ასე არ იდგებოდა, რომ მომხდარიყო უსაფრთხოების არქიტექტურაზე დავის განხილვა.
- რეგიონული დაძაბულობის შემცირებისთანავე, გაცილებით მეტი პოლიტიკური სივრცე გაჩნდებოდა, რომ მიღწეულიყო მრავალმხრივი შეთანხმება კონფლიქტის მართვის ზომებზე, როგორცაა მშვიდობის დაცვა, განათლება, ინფრასტრუქტურა, სამედიცინო და სხვა ჰუმანიტარული ძალისხმევა. ამჟამად ეს ზომები იბლოკება დაძაბულობის გამო, ან მათი ეფექტურობა შეზღუდულია, რადგან მათ ყველა მხარე არ ეთანხმება.
- •თუ გეოპოლიტიკური დაძაბულობა განიმუხტებოდა უსაფრთხოების არქიტექტურაზე ჩატარებული პარალელური მოლაპარაკებების შედეგად, მთავარი ძალები და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნებოდნენ უფრო ეფექტური, პროაქტიული და კოორდინირებული კონფლიქტის მოგვარების პროცესებში.

- •თუ ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული დავები ორმხრივად სასარგებლო შეთანხმებით დასრულდება, ტრანსსაზღვრო ვაჭრობისა და კომერციის მეტი შესაძლებლობები იქნება.

- •გეოპოლიტიკური დაძაბულობის შემსუბუქების შემთხვევაში, ქვეყნებს უფრო მეტი სტიმული ექნებათ მოხსნან ბარიერები

ხალხთა შორის ტრანსსასაზღვრო ურთიერთობის განვითარებისთვის.

- • შემცირებული დაძაბულობა რეგიონის სახელმწიფოებსა და სუბიექტებს უფრო მეტ სტიმულს მისცემს, რომ კონსტრუქციულად ითანამშრომლონ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან საჭირო აღარ იქნება მათი მთარველებისადმი ერთგულების გამოხატვა მკაცრი პოზიციის დაცვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟამინდელი დინამიკა, რომელშიც გარკვეულ სახელმწიფოებსა და სუბიექტებს შეუძლიათ შეასრულონ გეოგრაფიული დაპირისპირების მხარეების „მხარდაჭერების“ როლი, მნიშვნელოვნად შერბილდება და შეიძლება მთლიანად შეჩერდეს კიდევ.
- • ზუსტად ასევე, გეოპოლიტიკური მიმართულებით წინსვლასთან ერთად, საგარეო ძალები უფრო მეტად მოისურვებენ კონფლიქტებთან დაკავშირებით კონსტრუქციული ქცევის ხელშეწყობას.
- • არ არის გამორიცხული, რომ გეოპოლიტიკური დავის მოგვარებისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა შეამციროს ძალისმიერი ინსტრუმენტების ფარდობითი როლი და გაზარდოს რბილი მიდგომების გამოყენება, განსაკუთრებით რუსეთისთვის. მას შემდეგ, რაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები აღარ იქნება პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორი, რეგიონში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში რუსეთის რეპუტაცია უფრო მნიშვნელოვანი გახდება. ამით მოსკოვს ნაკლები შესაძლებლობა დარჩება, რომ ძალისმიერი ზომები გამოიყენოს.
- • მოლაპარაკებების შედეგად გეოპოლიტიკური დაპირისპირების დონის დაწვეა შეამცირებს მხარეების სურვილს, რომ შეეცადონ ერთმანეთს გადააბრალონ განსხვავებული პოზიციები ტერიტორიულ დავებზე. მართლაც, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ შემოქმედებითი ძალისხმევა წინ წაწევს კონფლიქტის მართვის პროცესებს, მიუხედავად არსებულ გარემოებებში სადავო ტერიტორიების სტატუსთან დაკავშირებული უთანხმოებისა. სავარაუდოდ, უფრო მეტი სივრცე გაჩნდება სუბიექტებსა და ცენტრალურ მთავრობებს შორის ურთიერთქმედების ჩარჩოებზე მოლაპარაკებისთვის.
- • არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობის შემცირებამ, შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს რეგიონის ქვეყნების საშინაო პოლიტიკაზე. ამან შეიძლება შეამციროს შიდა პოლიტიკური პოლარიზება და გააძლიეროს

როს ზომიერი ძალები. რეგიონის ქვეყნები ეკონომიკურ განვითარებას უფრო მეტ უპირატესობას მიანიჭებენ, ვიდრე უსაფრთხოებას. ზომიერი ძალაუფლების პირობებში, უფრო მეტად შესაძლებელი იქნება შიდა პოლიტიკური რეფორმები (მაგალითად, დეცენტრალიზაცია), რომლებიც ხელს უწყობს შეთანხმებას.

2.2 რეგიონული კონფლიქტები გეოპოლიტიკის მიღმა

პუბლიკაციის წინა ნაწილში დოკუმენტირებულად ვაჩვენეთ კავშირები კონფლიქტებსა და რეგიონული წესრიგის დავის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ელემენტებს შორის. ამასთან, პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში კონფლიქტები, უბრალოდ არ გაქრებოდა ამ ელემენტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შემთხვევაში.¹⁸ არსებობს კონფლიქტების მამოძრავებელი ფაქტორები, რომლებიც არ უკავშირდება უსაფრთხოების არქიტექტურასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე არსებულ უთანხმოებას. ამიტომ, საჭირო იქნება პროცესის წარმართვა გაჭიანურებული კონფლიქტების მოსაგვარებლად.

გლობალური გამოცდილება კონფლიქტის შერბილებისა და მოგვარების კუთხით აჩვენებს, რომ კონფლიქტის ერთი მხარის გარე მხარდაჭერა არ იწვევს საზოგადოების შერიგებას. პოლიტიკური პრეტენზიები და ჯგუფებს შორის დაძაბულობა ხშირად აძლიერებს კონფლიქტს, განსაკუთრებით მაშინ, თუ კონფლიქტი ძალადობასაც მოიცავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო დავების შემსუბუქება ყოველთვის არ იწვევს კონფლიქტების შიდა მიზეზების მოგვარებას. კონფლიქტი მთიან ყარაბაღში და მის გარშემო ამის კარგი მაგალითია. ამ კონფლიქტში საკმაოდ მცირეა რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკის მიმართულებები. 2014 წელს უკრაინის კრიზისის პიკის დროსაც კი, დიპლომატებმა რუსეთიდან, საფრანგეთიდან და აშშ-დან (ეს სამი ქვეყანა არის ეუთოს მინსკის ჯგუფის - კონფლიქტის მთავარი მოლაპარაკებების პლატფორმის თანათავმჯდომარე), წარმატებით გამოწახეს საერთო ენა მთიანი ყარაბაღის შესახებ, მათ შორის მინისტრების დონეზე.¹⁹ მაგრამ კონ-

18 უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტების შესახებ მიმდინარე ბევრ დისკუსიაში გავრცელებულია ამის საწინააღმდეგო მოსაზრება: მაგალითად, კიევში ზოგი ამტკიცებს, რომ დონბასის კონფლიქტი მომენტალურად მოგვარდება, თუ რუსეთი შეიარაღებული აჯანყების მხარდაჭერას შეწყვეტს.

19 იხილეთ, მაგალითად, ეუთო, „ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელების ერთობლივი განცხადება“, 2014 წლის 4 დეკემბერი. იხილეთ, აგრეთვე სერგეი მარკვედონოვი, „პოსტ-საბჭოთა ანომალია: როგორ შეიძლება ყარაბაღმა გააერთიანოს რუსეთი და დასავლეთი“ - კარნეგის მოსკოვის

ფლიქტი გრძელდება და მხარეებისათვის თითქმის შეუძლებელია ნაბიჯების გადადგმა, სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ წყენებისა და შეურაცხყოფის არსებობა ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ გრძელდება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი (და სხვა დაპირისპირებები ამ რეგიონში), ისევე, როგორც ყველგან, მხარეებს შორის აქაც არსებობს წინააღმდეგობის დამატებითი დონე. ეს არის ძალიან განსხვავებული ნარატიული ჩარჩოები კონფლიქტთან დაკავშირებით. სამხრეთ აფრიკის ეთნიკური და რასობრივი ფრაგმენტაციისა და პოლიტიკური განხეთქილებების ანალიზში, დონალდ ჰოროვიციმ ასეთ წინააღმდეგობას „მეტა კონფლიქტი“ უწოდა.²⁰ ჰოროვიცი ამტკიცებდა, რომ რასასთან დაკავშირებული დაპირისპირების გარდა, ამ კონფლიქტის ურთიერთსაწინააღმდეგო ახსნა-განმარტებებმა და ხედვებმა ხელი შეუწყო განხეთქილებას სამხრეთ აფრიკის საზოგადოებაში და შეაფერხა შერიგების პროცესი:

„სამხრეთ აფრიკაში [არის] იდეოლოგიური ხაზებით დაყოფილი საზოგადოება. ეს ხაზები განსაზღვრავს ფუნდამენტურ განსხვავებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების სწორი აღქმა და ორგანიზება. სხვა გარემოებებში საზოგადოების შესახებ ცოდნა შეიძლება თანმიმდევრულად განვითარდეს, მაშინ როცა სამხრეთ აფრიკაში ინტერპრეტაციის ყველა ძალისხმევა პრაქტიკულად გულისხმობს პირველ პრინციპებთან ან პირველ ფაქტებთან დაბრუნებას.“

შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ: „სამხრეთ აფრიკაში ერთი კონფლიქტი, ან თუნდაც ერთი ტიპის კონფლიქტი ვი არ არის, არამედ ორი. არსებობს თავად კონფლიქტი და ასევე მეტა კონფლიქტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დაპირისპირებას კონფლიქტის არსის გამო. არც ერთი არ არის მეორესთან თანხვედრაში; არც ერთი შეიძლება შემცირდეს მეორის საშუალებით.“²¹

სამხრეთ აფრიკისა და პოსტსაბჭოთა კონფლიქტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, მსგავსი მეტა კონფლიქტები - დაპირისპირება არსის გამო - მთელ იმ რეგიონში გვხვდება, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ.

პოსტ-საბჭოთა ევროპასა და ევრაზიაში მიმდინარე კონფლიქტებში, შეგვიძლია დავინახოთ

ცენტრი, 2017 წლის 10 ოქტომბერი.

20 დონალდ ჰოროვიცი, „დემოკრატიული სამხრეთ აფრიკა? კონსტიტუციური ინჟინერია გაყოფილ საზოგადოებაში“, ბერკლი, კალიფორნია: კალიფორნიის უნივერსიტეტის პრესა, გვ. 27, 1991 წელი.

21 ჰოროვიცი, 1991 წელი, გვ. 1-2.

არა მხოლოდ განხეთქილება სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის წინააღმდეგობრივ და შეუთავსებელ პროექტებსა და ისტორიული მეხსიერების შესაბამის ვერსიებს შორის, არამედ ღრმა დისკურსიული წინააღმდეგობები, რომლებსაც ჰოროვიცი უწოდებს „პირველ პრინციპებს“ და „პირველ ფაქტებს“. შეგვიძლია დავინახოთ მწვავე დავა კონფლიქტის ხასიათის შესახებ, ანუ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვსაზღვროთ მხარეები (მაგალითად, განსხვავება „სეპარატისტებსა“ და „მარიონეტებს“ შორის), კონფლიქტების წყაროები და მამოძრავებელი ძალები, როგორ და როდის დაიწყო დაპირისპირება და რა უშლის ხელს შეთანხმებას. მაგალითად, ქართვლებში ფართოდ გავრცელებული ნარატივის მიხედვით, ჯერ საბჭოთა და შემდეგ რუსეთის მთავრობამ დაიწყო და მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმს 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში. ამის საპირისპიროდ, აფხაზეთისა და ოსების (სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან) უმეტესობა თვლის, რომ მათ ჰქონდათ კონფლიქტი საქართველოს მთავრობასთან, რომელსაც მხარს უჭერდა მოსკოვი.²² მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსებმა ფართოდ შეისწავლეს ჯგუფების სადავო ინტერპრეტაციები და გაგებები, ასევე მათი ურთიერთობები „სხვებთან“, პოლიტიკოსები და პოლიტიკური დამკვირვებლები ხშირად არ აღიარებენ, რომ კონფლიქტის ეს დისკურსიული დონე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც „მატერიალური“ რეალობა.²³

ამ რეგიონში მეტა კონფლიქტის ხარისხი სხვადასხვაა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საპირისპირო ნარატივებს დიდი გავლენა აქვს და ღრმად არის ჩადებული შესაბამისი საზოგადოებების ცხოვრებაში.²⁴ ალბათ ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ამ საქმეში ორმხრივი საჩივრების სიღრმეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრების დონე დაბალია, შეგვიძლია დავინახოთ მეტა კონფლიქტი. მაგალითად, მოლდოვაში, დნესტრისპირეთის კონფლიქტის ინტერპრეტაციული ჩარჩოები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზოგი კონფლიქტს მიიჩნევს, რო-

22 იხილეთ ს. ვ. ჟიდკოვი, „Brosok maloi imperii“, მეიკოპი, რუსეთი: ადიგიევა, 1996 წელი.

23 იხილეთ, ასევე: ვ. ა. შნირელმანი, „ომის მოგონებები: მითები, იდენტობა და პოლიტიკა კავკასიაში“, მოსკოვი: „ნაუკა“, 2003 წელი; პოლ რ. ბრასი, „კერპის ქურდობა: ტექსტი და კონტექსტი კონფლიქტური ძალადობის გამოვლინებაში“, პრინსტონი, ნ. ჯ.: პრინსტონის უნივერსიტეტის პრესა, 1997 წელი; და როჯერს ბრუბეიკერი, „ეთნიკურობა ჯგუფების გარეშე“, კემბრიჯი, მასაჩუსეტის: ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა, 2004 წ.

24 მაგალითად, იხილეთ ლარისა სოტიევა, არდა ინალ-იპა, ჟანა ჯავახიშვილი და ლიანა კვარჩელია, „მშვიდობის წარმოადგენა: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე ადგილობრივი საზოგადოების ხედვების ანალიზი“ ლონდონი: „ინტერნეშენელ ელერთ“, 2018 წლის ოქტომბერი.

გორც შეტაკებას რუმინელ ნაციონალისტებს შორის, რომლებიც ცდილობენ მოლდოვა რუმინეთთან „გააერთიანონ“ და მოახდინონ დნესტრისპირეთის ძალისმიერი ასიმილაცია. სხვები კი მიიჩნევენ, რომ სეპარატისტული რეგიონი რუსული პოლიტიკის იარაღია, რომელიც ახლად წარმოქმნილი დემოკრატიის ძირ-გამოსათხრელად გამოიყენება.

მეტა კონფლიქტი არ აზიანებს მხოლოდ მოცემული დაპირისპირების მხარეებს. ერთი და იმავე მოვლენების სხვადასხვა ასხნასა და ინტერპრეტაციას შორის დავა გავლენას ახდენს მათზეც, ვინც შუამავლობის განხორციელებას ცდილობს. შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად, შუამავლები, ამკარა პოზიციებით ან მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებებით, ხელს უწყობენ მეტა კონფლიქტს. მეტა კონფლიქტის არსებობისას თითქმის შეუძლებელია მესამე მხარეები იყვნენ ნამდვილად ნეიტრალური და კიდევ უფრო რთულია სხვა მხარეებმა ისინი ნეიტრალურად აღიქვან.

2.3 წინადადება, ნაწილი I: კონფლიქტების მართვა

მაშინაც კი, თუ მთავარი მოთამაშეები შეთანხმდებიან რეგიონული წესრიგის დანარჩენ ორ ელემენტზე, პრეტენზიები, რომლებიც კონფლიქტებს განაპირობებს, არ გაქრება. შესაბამისად, კონფლიქტები თავისთავად შენარჩუნდება. ამიტომ საჭირო იქნება პროცესის წარმართვა მათი გადასაჭრელად. ამ თავის დანარჩენ ნაწილში აღწერილია ჩვენი წინადადება ასეთი პროცესისთვის. ეს მოიცავს მოლაპარაკებებს კონფლიქტის უფრო ეფექტურ მართვაზე, ორმხრივი შეთანხმების მიღწევის განახლებულ ვალდებულებას და პროცესში ჩართვაში მხარეების ნახალისებას. ამ ნაწილში აღწერილია კონფლიქტის მართვის შემოთავაზებული ღონისძიებები, რომლებიც შემდეგნაირად დავაჯგუფეთ: ტკვილის შემცირების ღონისძიებები და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები (CSBMs). ჩვენი წინადადების განსახორციელებლად, საჭირო იქნება მუდმივი მოლაპარაკებების პლატფორმები როგორც მართვის, ასევე შეთანხმების მიმართულებით. ამ ჯგუფების შემადგენლობა, რა თქმა უნდა, განსხვავდება თითოეული კონკრეტული კონფლიქტის მიხედვით. მაგრამ მთავარი საკითხია ის, რომ ყველა ნაბიჯი შეთანხმებული იქნება მთავარ მხარეებს შორის. ორმხრივად შეთანხმებული ღონისძიებების პერსპექტივა არის ის, რაც განასხვავებს ამ პროცესს დღევანდელ კონფლიქტებში განხორციელებული ძალისხმევისგან და იძლევა უკეთესი შედეგის შანსს.

ტკვილის შემცირების ზომები

ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „ტკვილის შემცირების ზომები“ კონფლიქტებთან დაკავშირებული ადამიანური ტანჯვის შემსუბუქების ღონისძიებების აღსანიშნავად. ეს თავისთავად ღირსეული მიზანია, მაგრამ „ტკვილის შემცირება“ ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარების პროცესში კონსტრუქციული ჩართულობის სტიმულირებისთვის. ახლახანს ჩატარებული დიდი კვლევის თანახმად, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში მზარდი ტკვილის განცდა ქმნის უფრო მეტ არასტაბილურობას.²⁵ „ტკვილის შემცირების ღონისძიებებმა“ შეიძლება მიკრო დონეზე შექმნას გავება, რაც ხელს შეუწყობს უფრო ფართო მოლაპარაკებებს. მათ შეუძლიათ ჯგუფებს შორის დინამიკის გარდაქმნა, ნდობისა და ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება და კონფლიქტების მოგვარების უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნა. დროთა განმავლობაში, მათ შეიძლება შეამცირონ ნარატივების სხვადასხვაობა და ერთმანეთის მიმართ არსებული პრეტენზიები გაუცხოებულ მოსახლეობებს შორის ურთიერთქმედების რეგულირების გზით.

დღესდღეობით „ტკვილის შემცირების ზომები“ გარკვეულწილად ხორციელდება რეგიონში (იხ. დანართი იმ ღონისძიებების აღწერის შესახებ, რომლებიც განახორციელებს საქართველოს, მოლდოვას, სომხეთისა და რუსეთის მთავრობებმა). ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა შესაძლებელია არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ პირობებშიც კი. ამასთან, ამ ღონისძიებების შეზღუდული ხასიათი ასევე ცხადყოფს, თუ როგორ მკვეთრად ზღუდავს ეს პირობები შესაძლებლობების სფეროს. რეგიონში „ტკვილის შემცირების ღონისძიებების“ პრაქტიკიდან შესაძლებელია მთელი რიგი გაკვეთილების მიღება:

- ტკვილის შემცირების ღონისძიებები“ დადებითად აისახა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მცირე გავლენა იქონიეს კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე.
- ტერიტორიული დავა და მასთან დაკავშირებული სტატუსის მოთხოვნები ზღუდავს „ტკვილის შემცირების“ პროგრამების ეფექტურ განხორციელებას.
- თვითონ პროგრამების სამოქმედო არე-

25 იხილეთ ჰალვარდ ბუჰაუგი, ლარს-ერიკ სედერმანი და კრისტიან სკრედე გლედინი, „შეუთავსებლობა: უთანასწორობა, საჩივრები და სამოქალაქო ომი“, „ინტერნეშენელ სთადის ქვო-რთერლი“, ტ. 58, No. 2, 2014 წელი.

ალი შემდგომშია, რადგან არ არსებობს ჩართულობა (რომ აღარათფერი ვთქვათ ურთიერთშეთანხმებაზე) რეგიონულ სახელმწიფოებს, რუსეთსა და დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის. მაგალითად, ნაყოფი ვერ გამოიღო საქართველოს მთავრობის ძალისხმევამ, რომ აფხაზეთში დაფუძნებულ კომპანიებს ესარგებლათ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირობებით, რადგან აფხაზეთის ხელისუფლება უარს ამბობს ამ თემაში ჩართვამდე.

„ტკვილის შემცირების“ ამჟამინდელი ღონისძიებების ლეგიტიმურობა ხშირად ეჭვქვეშ დგება, რადგან მათ შემუშავებაში არ მონაწილეობს ყველა შესაბამისი აქტორი.

ცხრილი 2.1 აჯამებს „ტკვილის შემცირების ღონისძიებების“ კატეგორიებს, რომლებიც ამჟამად მოქმედებს რეგიონში და მოიცავს უფრო ამბიციურ ზომებსაც. მრავალი ღონისძიება, რომლის განხორციელებაც ამჟამად შესაძლებელია ერთ კონფლიქტის ზონაში, წარმოდგენილია ჩანს მეორეში. სხვა პოლიტიკურ ვითარებაში, შესაძლებელი იქნებოდა ბევრად უფრო ამბიციური ზომების გატარება რეგიონის ყველა კონფლიქტის შემთხვევაში. ცხრილი 2.1 წარმოადგენს ერთგვარ მენიუს, საიდანაც მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ მოცემული კონფლიქტისთვის ყველაზე შესაფერისი ზომები და მოარგონ ისინი კონკრეტულ გარემოებებს. რა თქმა უნდა, ყველა ზომა არ იქნება შესაბამისი ყველა კონფლიქტისთვის.

ცხრილი 2.1
„ტკვილის შემცირების“ შესაძლო ზომები რეგიონული კონფლიქტებისთვის

ეკონომიკური	ჰუმანიტარული	ხალხთა შორის
საგზაო და სარკინიგზო ქსელების ინტეგრაცია	საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გაადვილება	ცენტრალური მთავრობის საგანმანათლებლო სისტემის ხელმისაწვდომობა კონფლიქტის ზონების მაცხოვრებლებისთვის
განვითარების პროექტებში ინვესტიციის ჩადება	პენსიისა და ხელფასების გადახდა კონფლიქტის ზონების მაცხოვრებლებისთვის	კონფლიქტის ზონებიდან ჩამოსული სპორტსმენების შესვლა ეროვნულ სპორტულ გუნდებში
საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის მხარდაჭერა კონფლიქტის ზონებში	კონფლიქტის ზონის მაცხოვრებლებისთვის სამედიცინო დახმარების განწევა	წვდომა ეროვნულ კულტურულ კონკურსებზე (მაგალითად, ევროვიზიაზე)
სანომრე ნიშნების ორმხრივი აღიარება	ადგილობრივი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აღიარება	კონფლიქტის ზონების მაცხოვრებლების დახმარება საერთაშორისო სტიპენდიის პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში
კონფლიქტის საზღვრე სავაჭრო დერეფნების შექმნა	საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მესამე ქვეყნებისთვის ნებართვის მიცემა, რომ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას კონფლიქტის ზონებში	კონფლიქტის ზონის მოსახლეობის მონაწილეობა ეროვნულ არჩევნებში
კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო ეკონომიკური ხელშეკრულებების გამოყენება	კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების დაშვება	კონფლიქტის ზონებში არსებულ ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაზე აკრძალვების დანერგვისგან თავის შეკავება





ეკონომიკური	ჰუმანიტარული	ხალხთა შორის
კონფლიქტის ზონების მაცხოვრებლებისთვის ეროვნული საბანკო სისტემის ხელმისაწვდომობა	კონფლიქტის ზონებში ადგილობრივი სამედიცინო პერსონალისა და დანესებულებების დახმარება	მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის კონფლიქტის ზონებში ტრანზიტის უფლების მიცემა
ეროვნულ ელექტროენერგეტიკულ ქსელში კონფლიქტის ზონების შეყვანა	ტექნიკური დახმარება ნალმების რისკების შემსუბუქებაში და სხვა პოსტკონფლიქტური მოვლენების რეკონსტრუქცია	

მთავარი განსხვავება ამჟამინდელ „ტკვილის შემცირების ღონისძიებებსა“ და ჩვენი წინადადებების მიხედვით განხორციელებულ ზომებს შორის იქნება ის, რომ ამ უკანასკნელზე ყველა შესაბამისი მხარე განსაზღვრულად შეთანხმდება. დანართში აღწერილი „ტკვილის შემცირების“ მრავალი ღონისძიება ძირითადად ცალმხრივია: ისინი წარმოიშობა ერთი მხარის ინიციატივით, მაშინ როცა მეორე მხრიდან შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ არსებობდეს სურვილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, არც თანხმობა. ეს დინამიკა თავისთავად ზღუდავს მათ ლეგიტიმურობასა და ეფექტურობას, ვინაიდან მხარეებს, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას ამ ზომებში, უჩნდებათ მათი ხელის შეშლის სურვილი. ჩვენი წინადადება ითვალისწინებს „ტკვილის შემცირების“ მრავალმხრივად შეთანხმებულ ზომებს ან არსებული ღონისძიებებისთვის უფრო მეტი ლეგიტიმურობის მინიჭებას ყველა შესაბამისი მხარის მიერ მათი დამტკიცების გზით. ეს, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაზრდის ამგვარი ზომების ეფექტურობას, ან, სულ მცირე, აღმოფხვრის მათი ეფექტურობის დაბრკოლებებს.

პოლიტიკური შედეგების მცდელობებთან, ტრანსსასაზღვრო პროცესებში ახალგაზრდების ჩართვასთან და მშვიდობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ძალისხმევასთან ერთად, „ტკვილის შემცირების“ ეს ზომები დროთა განმავლობაში ერთადერთ რეალურ პერსპექტივას წარმოადგენს, რომ მოგვარდეს რეგიონის კონფლიქტის ზონებში არსებული მეტა კონფლიქტები და ჯგუფებად დანაწევრება. მათ გარეშე, კონფლიქტის მიკრო დონეზე მამოძრავებელი ფაქტორები არ გაქრება.

ნდობისა და უსაფრთხოების ბანამი-ცების ზომები (CSBMs)

„ტკვილის შემცირების“ ღონისძიებების გარდა, კონფლიქტის უფრო ეფექტური მართვა გულისხმობს მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას და უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე.²⁶ დღეს რეგიონის ბევრ კონფლიქტურ ზონაში სახეზეა არაპროგნოზირებადი, დაუცველი მდგომარეობა და არასწორი აღქმები, რაც ქმნის განახლებული ან გამძაფრებული ბრძოლის მნიშვნელოვან რისკებს. ამ რისკების შემცირების ზომებმა შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტების უკეთ მართვას.

დღეს რეგიონში უკვე არსებობს მთელი რიგი ასეთი ღონისძიებები:

- საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) ასრულებს ერთგვარი „ცხელ ხაზის“ ფუნქციას საქართველოს მთავრობის, რუსეთის სამხედრო ძალისა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ინციდენტების მოსაგვარებლად.²⁷
- გაერო და ეუთო იყენებენ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებისათვის.²⁸

²⁶ ეს განყოფილება ემყარება სერჯი ვაპანაძეს, ულრის კუჰნს, ვოლფგანგ რიხტერსა და ვოლფგანგ ცელნერს - „სტატუს-ნეიტრალური უსაფრთხოება, ნდობის აღდგენისა და იარაღის კონტროლის ღონისძიებები ქართულ კონტექსტში“, ჰამბურგი, გერმანია: მშვიდობის კვლევისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტი, CORE სამუშაო დოკუმენტი No. 28, 2017 წლის იანვარი.

²⁷ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, „საქართველო: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციას“, 2018 წლის 18 ივნისი.

²⁸ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, „ერგ-

- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აქვს უფლება შეამოწმოს ქართული სამხედრო ძალები და პოლიციის ობიექტები კონფლიქტის ხაზებთან.²⁹
- საქართველო ცალმხრივად დათანხმდა კონფლიქტის ხაზის გასწვრივ კონკრეტულ ტერიტორიაზე განლაგებული გარკვეული სამხედრო ტექნიკის ძალებისა და რაოდენობის შეზღუდვას. თბილისი ასევე იძლევა შეტყობინებას ამ არეალში ყველა განლაგების შესახებ, ასევე ნებისმიერ სამხედრო წვრთნასთან დაკავშირებით, თუ მასში ბატალიონზე დიდი ძალა იღებს მონაწილეობას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამ ინფორმაციას გადასცემს ტერიტორიული ერთეულების სახელისუფლებო წარმომადგენლებსა და რუსეთის სამხედრო მეთაურებს ადგილობრივ დონეზე.³⁰
- ეუთოს სპეციალურ სადამკვირვებლო მისიას უკრაინაში ჰყავს ასობით დამკვირვებელი, რომლებიც იძლევიან შეტყობინებას ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევების შესახებ.³¹
- მოლდოვაში არის გაერთიანებული სამშვიდობო ძალები.³²

ჩვენი წინადადებაა უფრო ეფექტური და ყოვლისმომცველი ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომების (CSBMs) დანერგვა, რომლებშიც ყველა შესაბამისი მხარე ჩაერთვება. შეიარაღებული კონფლიქტის რისკის შემცირების ზოგადი მიზანი უნდა იყოს ორმხრივი უსაფრთხოებისა და პროგნოზირებადობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტით დაზარალებული თითოეული ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. შესაბამისი ზომები შეიძლება მოიცავდეს კომუნიკაციის, გამჭვირვალობის ან შეზღუდვის სხვადასხვა ელემენტებს (იხ. ცხრილი 2.2).³³

ნეთში გაიმართება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 93-ე შეხვედრა, 2019 წლის 16 მაისი.

29 ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აძლიერებს თანამშრომლობას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან“, 2009 წლის 27 მაისი.

30 სემუელ ჩერეპი და კორი უელტი, „აშშ-ის უფრო პროაქტიული მიდგომა საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში“, ვაშინგტონი, აშშ: ამერიკის პროგრესის ცენტრი, 2011 წლის თებერვალი, გვ. 26.

31 ეუთო, „ეუთოს სპეციალური სადამკვირვებლო მისია უკრაინაში“, ვებ-გვერდი, განახლებული ინფორმაცია.

32 იხილეთ, მოლდოვას თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი, „სამშვიდობო მისიები“, ვებ-გვერდი, განახლებული ინფორმაცია.

33 ცხრილში 4.2 აღწერილი ზომების დანიშნულებაა არსებული პოტენციური ვარიანტების ზოგადი ილუსტრაცია. ღონისძიებები არ არის ჩამოთვლილი რაიმე კონკრეტული თანმიმდევრობით.

ჩვენი წინადადებაა, რომ ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომების (CSBMs) განხორციელებისას, ხელმძღვანელობა უნდა მოხდეს შემდეგი ორი პრინციპით:

- **ნაცვალგებითი ურთიერთობა (Reciprocity):** ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ნებისმიერი ზომები (CSBMs) უნდა შეიცავდეს ნაცვალგებითი ურთიერთობის მინიმალურ დონეს. ორმხრივი ურთიერთობა პოლიტიკური ან სამართლებრივი გაგებით არ უნდა იყოს შერწყმული „თანასწორობასთან“. უფრო მეტიც, ეს ეხება კონფლიქტის ყველა მხარეს, რომლებიც იღებენ კომუნიკაციის, გამჭვირვალობის ან შეზღუდვის სათანადო ზომებს, როგორც ეს აღწერილია ცხრილში 4.2., ნაცვალად იმისა, რომ მხოლოდ ერთი მხარე მოქმედებდეს და დანარჩენები - არა. იდეალურ შემთხვევაში, ზომები ერთნაირად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა მხარის მიმართ; მაგალითად, კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე განლაგებული სამხედრო ძალების რაოდენობაზე შეზღუდვები შედარებითი უნდა იყოს. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, მდგომარეობის სრულყოფილად ასახვა შეიძლება ვერ მოხდეს; მთავარია, რომ ყველა მხარემ მიიღოს ზომები, რომლებიც სხვებისთვის მნიშვნელოვანია.
- **დავების მართვა:** შეიქმნება დავის მართვის მექანიზმები, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური განხორციელება. წინასწარ არსებულ ოფიციალურ ან არაოფიციალურ ფორმატში, რომელიც ეხება, მაგალითად, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების შესრულებას, შეიძლება მიზნად განისაზღვროს ეს პასუხისმგებლობა, ან ახალი ინსტიტუტების შექმნა. ასეთმა მექანიზმმა უნდა მოიცვას მესამე მხარე - მიუკერძოებელი მედიატორი ან მოლაპარაკებების ინიციატორი და კონფლიქტში მონაწილე მხარეები. მექანიზმში შევა კონსულტაციების განწესა და საკითხების დაზუსტება ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების კონკრეტული ზომების (CSBMs) განხორციელებასთან და მათთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, რჩევები და განმარტებები ინციდენტების შესახებ, შემოთავაზება უჩვეულო სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით, ან კრიზისულ სიტუაციებზე დაუყოვნებელი რეაგირების ღონისძიებები.

ცხრილი 2.2

ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პოტენციური ზომები (CSBMs) კონფლიქტის ზონებში რისკების შესამცირებლად

კომუნიკაცია	გამჭვირვალობა	შეზღუდვა
<ul style="list-style-type: none"> - საკონტაქტო წერტილები (PoC) სამხედრო საკითხებისთვის - ცხელი ხაზები - სამხედრო პირებს შორის საკომუნიკაციოდ - სამხედრო კონსულტაცია უჩვეულო სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით - კონსულტაცია და თანამშრომლობა სამხედრო ხასიათის საშიშ ინციდენტებზე - სამხედრო ტექნიკის, ძალისმიერი სტრუქტურებისა და გეოგრაფიული ადგილების ისეთი განმარტებების შექმნა, რომლებსაც ყველა იზიარებს - საკონტაქტო წერტილები (PoC) და კონსულტაციები შეტყობინებების, ინფორმაციის გაცვლის, დაკვირვების, დემონსტრაციების, მასპინძლობისა და შემონახვების შესახებ - კონკრეტული დებულებები შეშფოთების განსამარტად და ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შეფასება - დავების მოგვარებაზე მომუშავე ორგანოების რეგულარული შეხვედრები 	<ul style="list-style-type: none"> - წინასწარი შეტყობინება კონკრეტული სამხედრო მოქმედებების შესახებ - შეტყობინება შეიარაღებული პერსონალის ზრდის შესახებ - შეტყობინებები ძირითადი იარაღისა და აღჭურვილობის სისტემების შექმნისა და განთავსების გეგმის შესახებ - გარკვეული მძიმე სამხედრო ტექნიკის არსებული ტიპების სიების გაცვლა - ინფორმაციის გაცვლა ძირითადი შეიარაღებული სისტემებისა და სამსახურში ახლად აყვანილი პირების შესახებ - ინფორმაციის გაცვლა სამხედრო ძალების სტრუქტურის, პერსონალის ან აღჭურვილობის განაწილების შესახებ - ახალი ტიპის ძირითადი იარაღის სისტემების დემონსტრირება - ინციდენტებისა და შეთანხმებების (მაგალითად, ცეცხლის შეწყვეტის, ძალების გაყვანის შესახებ) მონიტორინგის განხორციელება მესამე მხარის მიერ - ზედმეტი რაოდენობის ცეცხლსასროლი და მსუბუქი კალიბრის იარაღთან (SALW) დაკავშირებული გამჭვირვალობის ზომები 	<ul style="list-style-type: none"> - გარკვეული მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანის ზონები - გარკვეული სამხედრო ტექნიკის შეზღუდვები კონკრეტულ ადგილებში - შეზღუდვები კონკრეტულ ტერიტორიებზე განლაგებულ შეიარაღებულ ძალებზე - კონკრეტულ ტერიტორიებზე გარკვეულ სამხედრო მოქმედებებზე შეზღუდვები - გარკვეულ ადგილებში ცეცხლსასროლი და მსუბუქი კალიბრის იარაღზე (SALW) შეზღუდვა - კონფლიქტის ზონებში დაფუძნებულ ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაზე აკრძალვებისგან თავის შეკავება - მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის კონფლიქტის ზონებში ტრანზიტის უფლების დაშვება - ზედმეტი სამხედრო აღჭურვილობის განადგურება - განაღმვითი სამუშაოები დემილიტარიზებული ზონების შექმნა - კონკრეტულ ადგილებში გარკვეული სამხედრო საქმიანობის (მაგ., წვრთნის) მოცულობის შეზღუდვა





კომუნიკაცია	გამჭვირვალობა	შეზღუდვა
	<ul style="list-style-type: none"> - გარკვეულ სამხედრო მოქმედებებზე ან განსაზღვრულ ადგილებზე დაკვირვების პროცედურა - ნებაყოფლობითი სადამკვირვებლო ვიზიტები სამხედრო საქმიანობის შესახებ არსებული შეშფოთების გასათვინტად - გარკვეული სამხედრო დანადგარების შემოწმება, განსაკუთრებით სენსიტიურ ტერიტორიებზე 	<ul style="list-style-type: none"> - გარკვეული შეიარაღებული ძალების დემობილიზაცია - ეროვნულ დონეზე გარკვეული აღჭურვილობის ფლობის ან პერსონალის რაოდენობის შემცირება

ასევე შეიძლება გატარდეს რისკის შემცირების უფრო ძლიერი ზომები; მაგალითად, სამშვიდობო ოპერაციის (PKO) შეყვანა კონფლიქტის ზონაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ ეფექტურად უზრუნველყონ ცეცხლის შეწყვეტა (მიუხედავად ძალადობის შეჩერებაზე აღებული ვალდებულებისა). უფლებამოსილი სამშვიდობო ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ცეცხლის შეწყვეტის ხელშესაწყობად ან მისი აღსრულებისთვისაც კი. სამშვიდობო ოპერაცია დაფუძნებული იქნება გაეროს წესდებებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე, მათ შორის მასპინძელი ქვეყნისა და კონფლიქტის მონაწილე მხარეების მონვევაზე. იმისათვის, რომ იყოს ეფექტური, სამშვიდობო ოპერაციას უნდა ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული მანდატი, საკმარისი ადამიანური, ადმინისტრაციული, ტექნიკური და ფინანსური რესურსები, მკაფიო მიზნები და ამ მიზნების მიღწევის ვადები. თუ კონფლიქტის მხარეები შეთანხმდებიან, სამშვიდობო ოპერაციამ (PKO) შეიძლება მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო კომპონენტები, არამედ პოლიცია და სამოქალაქო ელემენტებიც. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამშვიდობო ოპერაციამ შეიძლება მოიცავს არა მხოლოდ მშვიდობის შენარჩუნების, არამედ მისი აღდგენის ღონისძიებებიც, როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა „ხიდის გადებისა“ და შერიგების პროექტებში. სამშვიდობო ოპერაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს მხარეების სამხედრო ნაწილების გაყვანას, მძიმე იარაღის საწყობებში დაბრუნებას და ნებაყოფლობითი გამოსყიდვის პროგრამების განხორციელებასაც კი, რომლებიც შესაძლებელს გახდის

ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მცირე ზომის იარაღის შეგროვებას. საერთაშორისო მისიას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე შეუძლია ჩაატაროს კონფლიქტის რეგიონების დემილიტარიზაციის შემოწმება. სამშვიდობო ოპერაცია შეიძლება არ იყოს შესაფერისი ყველა კონფლიქტისთვის, მაგრამ ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული ზემოთ აღწერილ კონფლიქტის მართვის სხვა ზომებთან ერთად.

სტატუს-ნეიტრალურობის უზრუნველყოფა

მთელ რეგიონში მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს იკავებენ, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტის ზონებში ან მის მახლობლად კონკრეტული ტერიტორიის სტატუსს. გარკვეულმა მხარეებმა შესაძლოა კონფლიქტის ზონა მიიჩნიონ კონკრეტული ქვეყნის რეგიონად. სხვებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ან სხვა ქვეყნის ნაწილი. სტატუსის საკითხი მთავარია კონფლიქტებში; მუდმივად დასტურდება, რომ ის არის მნიშვნელოვანი შემადგენელი გარემოება კონფლიქტის უფრო ეფექტური მართვისთვის, ვინაიდან მხარეები ან იყენებენ ზომებს სტატუსის მოთხოვნის გასამყარებლად, ან შიშობენ, რომ სხვა მხარემ შეიძლება ეს გააკეთოს. ერთი მაგალითი რომ ავიღოთ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ხელი ეშლება აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მოქმედებაში, რადგან მისი მანდატი შეიცავს ფრაზას „საქართველოში“. არც რუსეთი და არც ამ ერთეულე-

ბის ხელისუფლების ორგანოები არ აღიარებენ აღნიშნულ ტერიტორიას საქართველოს ნაწილად.

მაშინაც კი, თუ გაჩნდებოდა საერთო პოლიტიკური ნება კონფლიქტის გაძლიერებული მართვის განსახორციელებლად, კონკრეტულ ზომებზე შეთანხმება მაინც რთული იქნებოდა ასეთი ზომების რეგულირების ხასიათის გამო. ის, ვინც ატარებს კონსულტაციებს ზომების შესახებ ან შეიმუშავებს და ახორციელებს მათ, იღებს საკუთრებას და პასუხისმგებლობას, შესაბამისად, გარკვეული ფორმის უფლებამოსილებას. უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას სტატუსი, ხოლო სტატუსი კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხია, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი გაგებით. სადავო ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლება, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო აღიარება ან სტატუსი, შეიძლება გახდეს *სტატუსის მადიებელი* (ანუ ის, ვინც ეძებს თავისი სტატუსის მოთხოვნის ცნობას), რადგან ასეთი აღიარება მას ლეგიტიმობას მიანიჭებს. ამასთან, ცენტრალური მთავრობები, რომლებსაც არ გააჩნიათ ეფექტური კონტროლი სადავო ტერიტორიებზე, მაგრამ სუვერენიტეტს აცხადებენ მათზე, ყველაფერს გააკეთებენ, რომ თავიდან აიცილონ ეს შედეგი, და ამრიგად, ისინი ხდებიან *სტატუსის გამფუჭებლები*. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატუსის შესახებ საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ისინი აფუჭებენ პროცესებს, რომლებიც მათთან თითქოს არანაირ კავშირში არ არის. რეგიონის გარედან რომ ავიღოთ მაგალითი, კვიპროსის რესპუბლიკა რეგულარულად ბლოკავდა ევროკავშირის ურთიერთობას თურქეთთან, რადგან ანკარასთან ჰქონდა დავა ჩრდილოეთ კვიპროსის სტატუსის გამო.³⁴ სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ მესამე მხარეს და აღიარებენ სადავო ტერიტორიის დამოუკიდებლობას, ხშირად ცდილობენ შეასრულონ *სტატუსის ხელშეწყობების* როლი, რადგან დე ფაქტო ხელისუფლებას აქტიურად უჭერენ მხარს აღიარების ძიებაში.

დე ფაქტო ხელისუფლებები კატეგორიულად უარყოფენ იმ მთავრობების უფლებას, რომელთაგანაც ისინი ცდილობენ გამოყოფას, რათა საკუთარი სახელით იმოქმედონ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხება მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიას. ამ საკითხებში შედის კონფლიქტის მართვის ზომების განხორციელება.³⁵ როგორც წესი, ეს

ხელისუფლებები ან ცდილობენ თავად განახორციელონ ეს უფლებები ან უარყონ, რომ სადავო ტერიტორია განეკუთვნება მოცემული ხელშეკრულების მოქმედების არეალს, თუ მასზე ხელს აწერს ცენტრალური მთავრობა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, მესამე მხარეს ანუ სახელმწიფოებს, რომლებიც არ აღიარებენ დე ფაქტო ხელისუფლებას, უფლება არ აქვთ სადავო ტერიტორიების სტატუსის შესახებ ცენტრალური მთავრობის პოზიციის საწინააღმდეგოდ იმოქმედონ. სიტუაცია უფრო რთულდება, თუ მესამე მხარის სახელმწიფომ ცნო სადავო ტერიტორიის დამოუკიდებლობა, ვინაიდან ამით საერთაშორისო იურიდიული დავები ერთმანეთში ირევა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონფლიქტის მართვის ახალი ჩარჩოს თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია აიღებენ მოლაპარაკებების ინსტრუმენტებზე, რათა „შემცირდეს ტკივილი“ და კონფლიქტის რისკი, სტატუსზე ერთმანეთის პრეტენზიების შერყევის გარეშე. დაცული იქნება შემდეგი პრინციპები:

- **არავითარი ცუდი განზრახვა:** მოლაპარაკებები დაიწყება ორმხრივი ვალდებულებით, რომ არ იქნება გამოყენებული საუბარი ან ზომები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათგან ნებისმიერი მხარის სტატუსის შესახებ პრეტენზიების გასაღრმავებლად. ასევე მოხდება იმის აღიარება, რომ ნებისმიერი შეთანხმებული ღონისძიების განხორციელება გავლენას არ მოახდენს სტატუსის შესახებ რომელიმე სახელმწიფოს პოზიციაზე, ეს გაანეიტრალებს შემოფოტებას იმის თაობაზე, რომ კონფლიქტის მართვის ზომებმა შეიძლება გამოიწვიოს ერთი მხარის სტატუსის მოთხოვნის „მცოცავი აღიარება“.
- **მესამე მხარის ფასილიტაცია:** მესამე მხარე (არ იგულისხმება კონფლიქტის არც ერთი მხარე) თავიდანვე ჩაერთვება მოლაპარაკებების პროცესში. მესამე მხარე შეიძლება იყოს: სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს კონფლიქტში, საერთაშორისო ორგანიზაცია, ან თუნდაც კერძო საწარმო. ამ მესამე მხარეს შეუძლია ხელი შეუწყოს კონფლიქტის მხარეების მონვევის პროცესს, რათა შემუშავდეს სტატუს-ნეიტრალური ზომები. მას შემდეგ, რაც კონფლიქტის მხარეები შეთანხმდებიან გარკვეულ ღონისძიებებზე, შეთანხმებებმა შეიძლება მიიღოს არაიურიდიული დოკუმენტების სახე, რომელსაც ხელს აწერენ მესამე მხარე და

34 იხილეთ ჯეიმს კერ-ლინდსი, „საბერძნეთისა და კვიპროსის პოლიტიკა თურქეთის ევროკავშირში განეწინაურებასთან დაკავშირებით“, თურქული კვლევები, ტ. 8, No. 1, 2007 წ.

35 იხილეთ, მაგალითად, „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შემოერთებულები არიან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) კომ-

პრომისით რუსეთ-საქართველოსთან დაკავშირებით“, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება, 2011 წლის 27 ნოემბერი.

კონფლიქტის მხარეები - ცალცალკე (საჭიროების შემთხვევაში). ამით თავიდან იქნება აცილებული სტატუსის მიმართ მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის პრივილეგირება.

- **სტატუს-ნეიტრალური დასახელება:** კონფლიქტის მართვის ღონისძიებების შესახებ შეთანხმებებში თავიდან იქნება აცილებული ყოველგვარი დასახელება, რომელიც შეიცავს პირდაპირ ან არაპირდაპირი მინიშნებას სახელმწიფოებრიობაზე, სუვერენიტეტზე ან მათთან დაკავშირებულ ცნებებზე, ინსტიტუტებზე, პირთა ტიტულებზე და გეოგრაფიულ სახელებზე. გეოგრაფიული სახელების ნაცვლად, ტერიტორიის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს GPS-ის კოორდინატები. მოლაპარაკებებში მონაწილე პირთა ტიტულების გამოყენების ნაცვლად, მათ მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, ისე, როგორც იწერება ორმხრივად შეთანხმებულ ენაზე. შესაძლოა ეს ენა არ წარმოადგენდეს კონფლიქტის მხარეების ოფიციალურ ენებს.
- **სტატუს-ნეიტრალური ტერმინოლოგია და პროცედურები:** საერთაშორისო ხელშეკრულებებში ჩვეულებრივ გამოიყენება ტერმინოლოგია და პროცედურები, რომლებშიც შეიძლება ჩანდეს სტატუსის შესახებ ერთი მხარის პოზიციის პრივილეგირება.³⁶ ასეთი ტერმინოლოგიის თავიდან აცილება შესაძლებელია GPS-ის კოორდინატებისა და შეთანხმებული ზოგადი ტერმინების გამოყენებით. სტატუს-ნეიტრალური პროცედურები გულისხმობს მესამე მხარისთვის უფლებამოსილების მიცემას, რომ განახორციელოს კონფლიქტის მართვის ზომები და კონფლიქტის მხარეებს შორის კომუნიკაცია.

2.4 წინადადება, ნაწილი II: კონფლიქტების მართვიდან შეთანხმებაზე გადასვლა

წინა განყოფილებებში აღწერილი იყო ჩვენი წინადადება, რომელიც უკავშირდება რეგიონული კონფლიქტების შედეგად შექმნილი ჰუმანიტარული და უსაფრთხოების გამოწვევების მოგვარების ღონისძიებებს. ამ ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა, თუ უსაფრთხოების არქიტექტურისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხზე დავის განხილვა მოხდებოდა პარალელური პროცესების ფორმატში. ამასთან, წარმატებით განხორციელების

შემთხვევაშიც კი, ტკივილისა და რისკის შემცირების სტატუს-ნეიტრალური ზომები, თავისთავად, არ წარმოადგენს მოგვარებისკენ მიმავალ გზას. (უფრო მეტიც, ეფექტური „ტკივილის შემცირების“ ღონისძიებები და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები (CSBMs), პრინციპში, შეიძლება განხორციელდეს მოგვარების პერსპექტივის გარეშე.)

ჩვენი წინადადებაა კონფლიქტების მართვის უფრო სრულყოფილი ზომები, როგორცაა ტკივილისა და რისკის შემცირება, დავაკავშიროთ განახლებულ საერთაშორისო ვალდებულებასთან კონფლიქტების მოგვარების საკითხზე მოლაპარაკებების შესახებ. ამ ვალდებულებას აიღებენ კონფლიქტებში დაზარალებული ან მონაწილე სახელმწიფოები, სხვა ქვეყნები, რომლებიც დღემდე მონაწილეობენ მოლაპარაკებებში და კონფლიქტებში ჩართული ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ევროკავშირი, ეუთო, გაერო). ადგილზე ვითარების დასტაბილურება, რაც მიიღწევა კონფლიქტის ეფექტური მართვის გზით, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს მოლაპარაკებებისთვის და საერთაშორისო ვალდებულებებს არ მიეცემა მხოლოდ რიტორიკული ხასიათი.

სადავო საზღვრების არსებული მდგომარეობა და სადავო სტატუსი არაოპტიმალურია ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის. ამიტომ, თუ პოლიტიკური პირობები ხელსაყრელია, მოლაპარაკებების გააქტიურება ორმხრივად მისაღები შედეგების მისაღწევად ყველას ვალდებულება უნდა იყოს. უფრო მეტიც, რეგიონის რამდენიმე კონფლიქტი ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მდგომარეობის „გაყინვა“ (რაც გულისხმობს, რომ არ არის სისხლისღვრა ან ძალის გამოყენების საფრთხე, მაგრამ არც შეთანხმებაა მიღწეული). დაძაბულობა ერთი კონფლიქტის ზონიდან შეიძლება მეორეში გადავიდეს. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ პროცესის შედეგად წარმოიშობა, ძალზე სპეციფიკური იქნება შესაბამისი კონფლიქტების გარემოებებისთვის. ამასთან, ჩვენი შემოთავაზებაა, რომ მხარეებმა დაიცვან შემდეგი ზოგადი პრინციპები მოლაპარაკებების წარმართვის დროს:

- **ორმხრივი თანხმობა:** ჭეშმარიტი დარეგულირება შესაძლებელია მხოლოდ ყველა შესაბამისი მხარის თანხმობის შემთხვევაში.
- **მხოლოდ მშვიდობიანი დარეგულირებები:** მხარეები თავს იკავებენ კონფლიქტის მოგვარების მიზნით ძალის გამოყენებისგან და იღებენ მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის წარმართვის ვალდებულებას.
- **ურთიერთდაკავშირებული პროცესები:** მხარეებს არ ექნებათ მხოლოდინი, რომ

36 როგორცაა შემომონებელი/შემონებელი/მასპინძელი ქვეყანა, ესკორტის გუნდი, შესვლის/გასვლის ერთგვარი პუნქტები, ერთგვარი სავიზო მოთხოვნები და ა.შ.

შეთანხმების პროცესი გაგრძელდება, თუ მართვა დაბლოკილია და პირიქით. პროცესი არ შეიძლება დასრულდეს მართვის ფაზაში ან გადავიდეს მოგვარების ეტაპზე ეფექტური მართვის გარეშე.

- **ღია მოლაპარაკებები:** ღია მოლაპარაკებებში ვგულისხმობთ შემდეგს - ეს პროცესი ვერ იქნება წარმატებული, თუ მხარეები მასში ისე ჩაერთვებიან, რომ არ ექნებათ სურვილი დათანხმდნენ ნებისმიერ პირობას, გარდა საკუთარი მაქსიმალისტური მიზნების მიღწევისა. მხარეები მზად უნდა იყვნენ მიიღონ მთელი რიგი შესაძლო შედეგები მოლაპარაკებებიდან გამომდინარე.
- **დევნილთა უფლებების პატივისცემა:** მხარეები ვალდებულია იღებენ დაიცვან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უფლებები, მაშინაც კი, თუ ამ უფლებების რეალიზების ფორმა შეიცვლება.
- **ეკონომიკური რეკონსტრუქცია:** იმ რეგიონებისთვის, რომლებიც დაზარალდნენ კონფლიქტების „ცხელ“ ფაზაში, ნებისმიერი მოგვარება უნდა ითვალისწინებდეს რეკონსტრუქციულ დახმარებას.
- **აღდგენითი მართლმსაჯულება:** საჯარო პროცესის განხორციელების ვალდებულება, რათა მოხდეს საზოგადოების შერიგების ხელშეწყობა სამაგიეროს მიღების გარეშე. ეს ჩვეულებრივ იღებს სიმართლის დადგენის სახეს. შერიგების კომისია იწყებს ჩადენილი უსამართლობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დოკუმენტირებასა და მუდმივი საჯარო ჩანაწერის შექმნას. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში 40-ზე მეტმა ქვეყანამ შექმნა სიმართლის დამდგენი კომისია. აღდგენითი მართლმსაჯულების ასეთი პროცესები უფრო მეტად საზოგადოების ჭრილობების განკურნებაზეა ორიენტირებული, ვიდრე ომის დანაშაულთა ტრიბუნალებზე სამაგიეროს გადახდაზე.

2.5 წინადადება, ნაწილი III: რეგიონული სახელმწიფოებისა და სუბიექტების დამატებითი ნახალისება პროცესებში ჩასართავად

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენს წინადადებაში შეტანილი ფუნდამენტური გარიგება ორმაგია. პირველ რიგში, მხარეებმა უნდა მიიღონ კონფლიქტის მართვის უფრო აქტიური და ეფექტური ჩარჩო ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების მიხედვით. მეორე, მონაწილე სახელ-

მწიფოებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ შეიმუშავებენ ორმხრივად მისაღებ შეთანხმების ჩარჩოს, წინა ნაწილში აღწერილი პრინციპების შესაბამისად. ეს წინადადება თავისთავად უზრუნველყოფს ყველა მხარის სტიმულირებას.

ამასთან, ზოგი შეიძლება ფიქრობდეს, რომ გარკვეული სახელმწიფოები კონფლიქტის მართვის პროცესებში რაღაც დათმობებზე წავლენ, თუმცა შეთანხმების (როგორც ჩვენ ვსაუბრობთ) მიღწევაზე პოლიტიკურ ვალდებულების აღება არ წარმოადგენს გარანტიას. ჩვენ შემოთავაზებაა, რომ რეგიონალურ კონფლიქტებში მონაწილე დიდმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ შემდეგი დამატებითი ზომები კონფლიქტით დაზარალებული ქვეყნებისა და სუბიექტების ნახალისების გაზრდის მიზნით:

- **რეკონსტრუქციული დახმარება:** ევროკავშირს, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შეუძლიათ გასცენ დაპირება, რომ რეკონსტრუქციისთვის გაიღებენ მნიშვნელოვან თანხებს ამ პროცესის ფარგლებში.
- **ეკონომიკური სტიმული და დაპირება სუბიექტებისთვის:** სახელმწიფოებს შეუძლიათ მოახდინონ დამატებითი ეკონომიკური სტიმულირება ან სუბიექტებს დაეხმარონ კონკრეტული პირობის სანაცვლოდ, თუ ისინი ითანამშრომლებენ კონფლიქტების მართვისა და მოგვარების პროცესებში.
- **კონფლიქტთან დაკავშირებული სანქციების დასრულება:** კონფლიქტების ფონზე ქვეყნებს მრავალი ეკონომიკური სანქცია დაუწესდათ. ამ სანქციების შემსუბუქება შესაძლებელია პროცესში ჩართვის სანაცვლოდ.³⁷
- **გარე ძალების მიერ სამხედრო ნაწილების გაყვანა:** ნატოს წევრ ქვეყნებსა და რუსეთს შეუძლიათ მოლაპარაკება გამართონ სამხედრო წარმომავენლობისა და მოქმედებების მასშტაბის ორმხრივი შემცირების შესახებ კონფლიქტის ზონებში ან მახლობლად.

რეგიონული სახელმწიფოებისა და სუბიექტების ეს ნახალისება განპირობებული უნდა იყოს მათი სურვილით ჩაერთონ კონფლიქტების მართვისა და მოგვარების ზემოთ შემოთავაზებულ პროგრამაში. თუ მათ არ სურთ ჩართვა, ვერ ისარგებლებენ ამ ნახალისებებით.

37 ვგულისხმობთ, მაგალითად, თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის ჩაკეტვას.

2.6 დასკვნა

რეგიონული კონფლიქტები მჭიდრო კავშირშია რეგიონულ წესრიგზე არსებული დავის სხვა ორ ელემენტთან. უსაფრთხოების არქიტექტურისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პარალელური პროგრესი შესაძლებელს გახდის მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმას კონფლიქტებთან დაკავშირებით, რაც ამგვარი პროგრესის დაბლოკვის შემთხვევაში, სრულიად შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, დანარჩენი ორი მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა თავისთავად მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს რეგიონული კონფლიქტებს. მაგრამ, მაშინაც კი, თუ მიიღწევა პროგრესი აღნიშნული მიმართულებებით, რეგიონული კონფლიქტები არ გაქრება. აუცილებელი იქნება არსებითი ზომების მიღება როგორც მათი უკეთ მართვისთვის, ისე შეთანხმების მიღწევის გარკვეული პერსპექტივის უზრუნველსაყოფად. ჩვენ მიერ შემოთავაზებული წინადადება მოიცავს სამ ნაწილს: კონფლიქტის მართვის გაუმჯობესებულ, მრავალმხრივ, სტატუს-ნეიტრალურ ზომებს ტკივილისა და რისკის შესამცირებლად, განახლებულ საერთაშორისო ვალდებულებას შეთანხმების მისაღწევად და ამ პროცესში მონაწილეობის ნახალისებას. აღნიშნული წინადადება შეიცავს ინსტრუმენტებს ადგილობრივ დონეზე სიტუაციის სწრაფად გაუმჯობესებისთვის და საფუძველს უყრის ამ დავების მოგვარებას. ამ მიმართულებით მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებული პროგრესი, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი იქნება დანარჩენ ორ საკითხზე მოლაპარაკებების ხელშესაწყობად.

3

კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ წესრიგზე

სამუელ ჩერები

წინა სამ თავში აღწერილია მრავალმხრივი წინადადება ახალი რეგიონული წესრიგის შესახებ. შემოთავაზებული განახლების საფუძველზე შეიქმნება ახალი საკონსულტაციო ორგანო დიდი ძალების ჩასართავად რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის საკითხებში, ახალი ნორმები - გაერთიანებების ქცევის დასარეგულირებლად და მოხდება სტატუსის შეთავაზება არანევრი სახელმწიფოებისთვის. ეს გულისხმობს მრავალმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობაზე მორგებულ გადანყვეტილებებს, რეგულარული დიალოგის წარმოებას ევროკავშირს, ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა (EAEU) და შუალედურ სახელმწიფოებს შორის და ახალი ნორმების შექმნას სავაჭრო ბლოკების ქცევასთან დაკავშირებით. და ბოლოს, შემოთავაზებული განახლების საფუძველზე დაიწყება ძალისხმევა რეგიონული კონფლიქტების სტატუს-ნეიტრალური მართვის მომების განსახორციელებლად და ორმხრივი შეთანხმებების მისაღწევად. წინადადების სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილის უფრო დეტალური მიმოხილვისთვის იხილეთ ჩარჩო 5.1.

ეს წინადადება ვერც ერთ მხარეს ვერ დააკმაყოფილებს მთლიანად. მასზე შეთანხმების მიღწევა ყველასგან რთულ კომპრომისებს მოითხოვს, მაგრამ, განხორციელების შემთხვევაში, ეს გამოიწვევს სტატუს-კვოს მკვეთრ გაუმჯობესებას. ამით დასრულდება თამაში (რომელიც გამარჯვებული არავინაა), შუალედური სახელმწიფოების ერთგულების მოსაპოვებლად. დიდი ძალები შეწყვეტენ ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას და მივალნევთ რეალურ პროგრეს რეგიონული კონფლიქტების მოგვარების მხრივ. უფრო მეტიც, ამ შედეგის მისაღწევად არცერთ სახელმწიფოს არ მოუწევს დადგენილი ნითელი ხაზების გადაკვეთა. ამრიგად, წინადადება წარმოადგენს განხორციელებად პოლიტიკურ კომპრომისს, რომელიც რეგიონში მნიშვნელოვნად გაზრდის სტაბილურობას და შეამცირებს დაუცველობას. უფრო ფართო პერსპექტივაში, ის გახდება ერთგვარი დამცავი

ჯებირი რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ კონკურენციამ.

ჩარჩო 3.1
შემოთავაზებული ახალი რეგიონული წესრიგი

უსაფრთხოების არქიტექტურა

- რეგიონული უსაფრთხოების კონსულტაციები (RSC): ჩატარდება რეგულარული კონსულტაციები რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის განსახილველად, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავების მოსაგვარებლად და განზრახვების ორმხრივად შესთანხმებლად. მუდმივი მონაწილეები იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და ევროკავშირი. ნებისმიერ შუალედურ სახელმწიფოს შეუძლია მოიწვიოს რეგიონული უსაფრთხოების კონსულტაციების სხდომა, რათა მოისმინონ მისი პოზიცია.
- ქცევის ნორმები: რეგიონული უსაფრთხოების კონსულტაციების მუდმივი მონაწილეები თანხმდებიან, რომ: არ შეეცდებიან შემდგომი ცვლილებების შეტანას რეგიონული უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების შემადგენლობაში ან ამჟამინდელი ალიანსის წევრთა გეოპოლიტიკურ სტატუსში, თუ არ განხორციელდება კონსულტაციები და მცდელობები ორმხრივი კონსენსუსის მისაღწევად; შესაბამისად დაათვალენ რეგიონულ სტაბილურობასა და ყველა მხარის უსაფრთხოების ინტერესებს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მიიღებს „მესამე გზის“ სტატუსს, აიღებს მუდმივ მონაწილეებთან კონსულტაციის განვების ვალდებულებას, თუ გადანყვეტს

შეცვალოს უსაფრთხოების ზომები მომავალში.

- მესამე გზის სტატუსი: არა-წევრმა სახელმწიფომ შეუძლია სცადოს „მესამე გზის“ სტატუსის მოპოვება, რაც გამოიწვევს მისი არა-წევრობის მკაფიოდ აღიარებას და ამ სტატუსის ცნობას მთავარი სახელმწიფოების მიერ.
- უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები (MSGs) და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები (CSBMs): „მესამე გზის“ სტატუსს ამყარებს უსაფრთხოების ოფიციალური და მრავალმხრივი გარანტიები იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მას მიიღებენ. გარდა ამისა, მთავარი ძალები თანხმდებიან, რომ ეს გარანტიები არსებითი გახდება სამხედრო შეზღუდვისა და გამჭვირვალობის მთელი რიგი ზომების საშუალებით, რითაც ისინი აჩვენებენ ვალდებულებას, დაიცვან მესამე გზის სტატუსის მქონე სახელმწიფოების უსაფრთხოება.

ეკონომიკური ინტეგრაცია

- მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობები: მხარეები შექმნიან მოქმედ და ორმხრივად მომგებიან სავაჭრო რეჟიმებს შუალედურ ქვეყნებსა და ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ (EAEU) კავშირს შორის. სპეციფიკურ შეთანხმებებში შევა:
 - შეთანხმებები ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (EAEU) შორის, როგორცაა ტექნიკური რეგულაციების ჰარმონიზება და სატრანზიტო საკითხების დეკონფლიქტი; ჩარჩო ხელშეკრულება ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (EAEU) შორის; ორმხრივად მისაღები სავაჭრო ჩარჩო მესამე ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის ან ევრაზიის ეკონომიკურ კავშირის (EAEU) წევრები და არც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ხელმოწერები; და ბოლოს, თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (EAEU) შორის;
 - თითოეულ შუალედურ ქვეყანაზე მორგებული გადაწყვეტილებები, რათა შესაძლებელი იყოს სავაჭრო ურთიერთობების წარმართვა როგორც

ევროკავშირთან, ასევე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან; აღნიშნულ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ვალდებულებები არსებული შეთანხმებების შესაბამისად (მაგ. DCFTA-ს ან EAEU-ს წევრობის დებულებები).

- სამმხრივი კონსულტაციები: მხარეები იღებენ ვალდებულებას შექმნან ყოვლისმომცველი სამმხრივი საკონსულტაციო მექანიზმები შუალედური სახელმწიფოების ისეთ ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობილია ორ ბლოკთან ურთიერთობაში. „საბაჟო კავშირის“ არანაწილი ქვეყნებისათვის (როგორცაა აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), უნდა არსებობდეს ცალკე მექანიზმი, რომელიც მოიცავს ევროკავშირის, ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა (EAEU) და კონკრეტული შუალედური ქვეყნის ოფიციალურ პირებს.
- ქცევის ნორმები: ევროკავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EAEU) თანხმდებიან, რომ აღიარებენ არსებული ინსტიტუტების შემადგენლობასა და ლეგიტიმურობას; ჩაატარებენ კონსულტაციებს სტატუს-კვოს მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომლებიც შეეხება რეგიონში სავაჭრო და ეკონომიკურ შეთანხმებებს; და პატივს სცემენ სახელმწიფოთა არჩევანს ინტეგრაციის შესახებ.

რეგიონული კონფლიქტები

- კონფლიქტების გაუმჯობესებული მართვა: მხარეებს აქვთ ბევრად უფრო პროაქტიული მიდგომა რეგიონული კონფლიქტების მართვის მიმართ. ეს მოიცავს:
 - „ტკივილის შემცირების“ ზომებს ანუ ნაბიჯებს კონფლიქტებთან დაკავშირებული ადამიანური ტანჯვის შესამცირებლად;
 - ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომებს (CSBMs), ანუ ნაბიჯებს, რომლებიც ამცირებს შეიარაღებული კონფლიქტის რისკს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მდგომარეობას ადგილობრივ დონეზე;
 - სტატუს-ნეიტრალურობის ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ამ ინსტრუმენტებზე მოლაპარაკებების წარმოე-

ბის ვალდებულებას და არ შეეცდებიან ერთმანეთის პრეტენზიების შერყევას სტატუსთან დაკავშირებით.

- კონფლიქტის მოგვარების ხელახალი შეთანხმება: დაზარალებული და პროცესში ჩართული სახელმწიფოები, სხვა ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა მოლაპარაკებებში, იღებენ საერთაშორისო ვალდებულებას, რომ აწარმოებენ მოლაპარაკებებს კონფლიქტების მოგვარებაზე და დაიცავენ შეთანხმების მარეგულირებელ პრინციპებს.
- ნახალისება პროცესში ჩართვისკენ: სახელმწიფოები, რომლებიც მესამე მხარეს წარმოადგენენ, კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებს აძლევენ სტიმულს (მაგალითად, ეკონომიკური რეკონსტრუქციის დიდ პაკეტებს) პროცესში ჩართვის მიზნით.

მეორე დიდი ძალა ნებისმიერ ფასად ცდილობს რეგიონში გეოპოლიტიკურად გაბატონებას. ამ დინამიკის ანგარიში საბოლოოდ ნულია და ის ქმნის დაუცველობას ყველასთვის.

მნიშვნელოვანია განახლებული რეგიონული წესრიგის შემოთავაზების დეტალური შედარება სტატუს-კვოსთან, რათა სრულად დადგინდეს ამ ორს შორის არსებული განსხვავებები (ეს შეჯამებულია ცხრილში 5.1.). უსაფრთხოების არქიტექტურის თვალსაზრისით, დღესდღეობით რეგიონი არსებითად გახლეჩილია ორ დაპირისპირებულ ბლოკს შორის. შემოთავაზებული წესრიგი ქმნის რეგულარული კონსულტაციის მექანიზმს რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით, თუმცა დღეს ამ თემაზე მთავრობებს შორის არსებითად არ არსებობს დიალოგი მთავარი ძალებისა და შუალედური სახელმწიფოების მონაწილეობით. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა (ნატო) და რუსეთის საბჭო მძიმე მდგომარეობაშია. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) შეხვედრები ძირითადად გადაიქცა ორმხრივი საჩივრების გამოთქმის ფორმატად. თუ დღეს დადგება შუალედური სახელმწიფოს რომელიმე მხარესთან გაერთიანების საკითხი, როგორც რუსეთი, ასევე დასავლეთი ცალმხრივად იმოქმედებს შედეგების მისაღწევად და შეიძლება იძულების გმასაც მიმართოს მეორე მხარის შეტყობინების გარეშე (რომ აღარაფერი ვთქვათ მასთან კონსულტაციაზე). დღესდღეობით ბევრი შიშობს, რომ ერთ-ერთი მთავარი ძალა ცდილობს მეორე მხარის ბლოკს ძირი გამოუთხაროს და წევრები წახალისოს, დატოვონ გაერთიანება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღები პირი დარწმუნებულია შემდეგში: ერთი ან

ცხრილი 3.1

სტატუს-კვოს შედარება განახლებული რეგიონული წესრიგის შეთავაზებასთან

	სტატუს-კვო	შეთავაზება
უსაფრთხოების არქიტექტურა	<ul style="list-style-type: none"> – დიალოგის მექანიზმები, რომლებიც დისფუნქციურია ან პრობლემებს არ ეხება – ბლოკი ან დიდი ძალა არ იცავს ნორმებს შუალედურ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას – სტატუსთან დაკავშირებული არჩევანი იმ შუალედურ სახელმწიფოებში, რომლებზეც დიდი ძალები დავობენ – იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც არც ერთ ძალას უჭერენ მხარს, არ არსებობს უსაფრთხოების საიმედო გარანტიები – დიდი ძალების სამხედრო საქმიანობის გაზრდა ცუდად აისახება შუალედურ სახელმწიფოებზე 	<ul style="list-style-type: none"> – რეგიონული უსაფრთხოების კონსულტაციებში ერთვებიან ძირითადი აქტორები, რათა მოაგვარონ რეგიონში არასტაბილურობის გამომწვევი პრობლემები – ნორმების შეთანხმება დიდი ძალების ქცევის დასარეგულირებლად და ცალმხრივი გადანყვეტილებების გამო-რიცხვა – მესამე გზის სტატუსის შეთავაზება, თუ ქვეყანა არ დაუჭერს მხარს არც ერთ მთავარ ძალას – ქვეყნები, რომლებიც ირჩევენ მესამე გზას, იღებენ უსაფრთხოების მრავალმხრივ და ეფექტურ გარანტიებს – ძირითადი ძალები თავს იკავებენ სამხედრო მოქმედებებისგან „მესამე გზის“ სახელმწიფოების მიმართ და პირიქით
ეკონომიკური ინტეგრაცია	<ul style="list-style-type: none"> – ინტეგრაციის არჩევანი ორს შორის – შეფერხებული სავაჭრო ურთიერთობები ინტეგრაციის პროექტების დაპირისპირების გამო – არ არსებობს ბლოკებს ან სამმხრივი დიალოგი, ან არსებული დიალოგი ძირითადად დისფუნქციურია – ბლოკები არ იცავენ ქცევის ნორმებს 	<ul style="list-style-type: none"> – მრავალმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობა ევროკავშირისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) შეთანხმებების საფუძველზე და შუალედურ სახელმწიფოებზე მორგებული გადანყვეტილებები – სამმხრივი კონსულტაციის მექანიზმების გამოყენება ბლოკის არანეგატიური ქვეყნებისთვის – შეთანხმება, რომ არ მოხდება არსებულ ინსტიტუციებთან და შუალედური სახელმწიფოების არჩევანთან შეწინააღმდეგება და ჩატარდება კონსულტაციები მომავალ ცვლილებებზე



	სტატუს-კვო	შეთავაზება
<p>←</p> <p>რეგიონული კონფლიქტები</p>	<ul style="list-style-type: none"> – კონფლიქტის შეზღუდული მართვა, რომელიც უმეტესად ცალმხრივია და ხშირად ზიანდება სტატუსზე არსებული დავების გამო – შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესებში არ ჩანს დიდი ძალების მხრიდან მაღალი დონის პოლიტიკური ინვესტიციები ან წარმატების იმედი – არ ხდება კონსტრუქციული ჩართულობის სტიმულირება 	<ul style="list-style-type: none"> – გაძლიერებული, მრავალმხრივი სტატუს-ნეიტრალური კონფლიქტის მართვის ზომები ტკივილისა და რისკის შესამცირებლად – შეთანხმებებზე მოლაპარაკების წარმოების განახლებული საერთაშორისო ვალდებულება – წამახალისებელი პაკეტი ყველა დაზარალებული მხარისთვის, პროცესში მათი ჩართვის მიზნით

შუალედური ქვეყნების სტატუსის უნივერსალური შეთავაზების ნაცვლად, არსებითად სამივე კატეგორიისთვის („არც ერთთან დაკავშირებული“, „რუსეთის მხარდამჭერი“ და „დასავლეთისკენ მიდრეკილი“) გარკვეულწილად დავობს ერთი ან მეტი დიდი სახელმწიფო. „არც ერთთან დაკავშირებული“ აზერბაიჯანი და მოლდოვა დიდი ძალაუფლების შეჭიბრის ობიექტები არიან, რადგან არც რუსეთს და არც დასავლეთს არ სჯერა, რომ მეორე მხარე პატივს სცემს მათ ნეიტრალურობას. რუსეთის მოკავშირეებს არ შეუძლიათ განავითარონ ნორმალური კავშირები დასავლეთთან მოსკოვის ეჭვების გაღვივების გარეშე. ნატო და ევროკავშირი მუდმივად უარს ამბობდნენ „დასავლეთისკენ მიდრეკილ“ უკრაინასა და საქართველოსთან დაკავშირებით მკაფიო არჩევანის გაკეთებაზე, რითიც ისინი ამ ორგანიზაციების წევრები გახდებოდნენ, თუმცა ამავე დროს სთავაზობდნენ ისეთ პარტნიორობას, რაც საკმარისი იქნებოდა რუსეთისთვის საბაგიეროს გადასახდელად.

შემოთავაზებული განახლებული რეგიონული წესრიგის თანახმად, დიდი ძალების დავა შუალედური სახელმწიფოების სტატუსთან დაკავშირებით უნდა გადანაცვდეს რეგიონული უსაფრთხოების კონსულტაციების მეშვეობით. რუსეთი და დასავლეთი ვალდებულებას აიღებენ შეიტანონ ცვლილებები უსაფრთხოების არქიტექტურაში ორმხრივი კონსულტაციების გზით. შეჩერდება არსებული ბლოკებისთვის ძირის გამოთხრის მცდელობები. ის სახელმწიფოები, რომლებიც აირჩევენ შემოთავაზებულ „მესამე გზის“ სტატუსს, მიიღებენ მნიშვნელოვან სარგებელს უსაფრთხოების გარანტიებისა და მასთან დაკავშირებული შემაკავებელი ღონისძიებებისგან.

დღეს რეგიონში ეკონომიკური კავშირები სადავო და დაძაბულია. კონკურენციამ შეუსაბამო სავაჭრო რეჟიმებს შორის შუალედურ სახელმწიფოებში გამოიწვია კომერციის სფეროს გახლეჩვა და ორიდან ერთ-ერთ ძალასთან ინტეგრაციის არჩევანი. მოლდოვა და უკრაინა ახორციელებენ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებებს, მაგრამ დგანან რუსეთთან სავაჭრო ბარიერების წინაშე. რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში ოფიციალური ბარიერების არარსებობა უმნიშვნელო ფაქტია, ვინაიდან ეს შეთანხმებები არ არის ინსტიტუციონალიზებული და პოლიტიკურ არეულობებს ექვემდებარება. ევროკავშირს, ევრაზიის ეკონომიკური კავშირსა და შუალედურ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს დიალოგის მექანიზმები ამ საკითხების გადასაჭრელად. იმავდროულად, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის ქცევის ნორმებზე აშკარა შეთანხმების არარსებობა ორივე მხარეს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მეორე ცდილობს შელახოს მისი ინტერესები. ეს შთაბეჭდილება კი ხშირად ემყარება სინამდვილეს.

ამ პუბლიკაციის შეთავაზების თანახმად, ეკონომიკური კავშირები აღდგება მთელი რიგი შეთანხმებებით, რომლებიც მიმართულია მრავალმხრივი ვაჭრობის ხელშესაწყობად. ევროკავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი შეთანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ შუალედურ სახელმწიფოებს: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ხელმოწერებს, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრებსა და აზერბაიჯანს. თითოეულ შუალედურ ქვეყანაზე მორგებული გადანაცვლებები შეეხება არსებულ პრობ-

ლემებს, მოხსნის სავაჭრო შეზღუდვებს ყველა მნიშვნელოვან პარტნიორთან და შექმნის შესაძლებლობას ორივე ბლოკთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. შეიქმნება რეგულარული სამმხრივი საკონსულტაციო მექანიზმები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ბლოკებში არ არიან განვრიანებული. აღნიშნულ მექანიზმებში ჩაერთვებიან ორივე ჯგუფის წარმომადგენლები სამომავლო პრობლემების გადასაჭრელად. ბრიუსელი და მოსკოვი აიღებენ ნორმატიულ ვალდებულებებს, რომ ერთმანეთთან და შუალედურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ნდობას გააღვივებენ.

რეგიონული კონფლიქტების თვალსაზრისით, არსებული ვითარება საკმაოდ მძიმეა, მიუხედავად პროცესში ჩართული დიპლომატების ძალისხმევისა. კონფლიქტების მართვის მცდელობები, საუკეთესო შემთხვევაში, მოკრძალებულია ან მათი უმეტესობა ცალმხრივია და ფერხდება სტატუსთან დაკავშირებული დავების გამო, ხან კი ორივეს ერთად აქვს ადგილი. შედეგად, ადგილობრივ დონეზე უსაფრთხოების მდგომარეობა დამძიმებულია, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ადამიანურ უსაფრთხოებას. დღევანდელი მოლაპარაკებების ფორმატები, ზოგიერთ შემთხვევაში, ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს, თუმცა შეთანხმებისკენ მხოლოდ მცირე ნაბიჯები გადაიდგა. უფრო მეტიც, კონკრეტულ მნიშვნელოვან აქტორებს მცირე სტიმული აქვთ პოლიტიკურ რისკზე ნავიდნენ იმისთვის, რომ კონფლიქტებში პროგრესს მიაღწიონ.

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი წინადადების თანახმად, განხორციელდება კონფლიქტების მართვის ყოვლისმომცველი პროგრამა ინკლუზიური მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით. მასში შევა მეოთხე თავში აღწერილი „ტკივილისა და რისკის შემცირების ღონისძიებების მენიუ“, საიდანაც შესაძლებელია თითოეული კონკრეტული კონფლიქტის შესაბამისი ღონისძიების არჩევა. ამ ღონისძიებებს ექნებათ სტატუს-ნეიტრალურობის მკაფიო გარანტიები, რათა არ მოხდეს რომელიმე მხარის წითელი ხაზების გადაკვეთა. კონფლიქტის მართვის ეს ბიძგი დაკავშირებული იქნება შეთანხმების მიღწევის ახალ საერთაშორისო ვალდებულებასთან. მიუხედავად იმისა, რომ შედეგებთან დაკავშირებით დაპირების მიცემა არ მოხდება, პროცესში პოლიტიკური ინვესტიციის გარანტიის გამო ეს ახალი ვალდებულება რიტორიკად არ დარჩება. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ნახალი-სებას კი ყველა მხარე მიიღებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, აღწერილი შედეგების მისაღწევად, რეგიონული წესრიგის ეს სამი კომპონენტი პარალელურად უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ერთი მათგანიც ჩავარდება, სხვებიც მასთან ერთად დაეცემა.

ისინი მიმდინარე დავის ურთიერთგადაჯაჭვული კომპონენტებია და, შესაბამისად, გადანყვეტილებებიც ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.

თითოეული ეს იდეა განზრახ არ არის მორგებული ექვსივე შუალედურ სახელმწიფოზე, რომლებიც, მრავალი თვალსაზრისით, ერთმანეთისგან განსხვავდებიან. შესაბამისად, ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი შეთავაზება შეიძლება ადაპტირებული იყოს, რათა გადანყვეტილებები მოერგოს ამ სახელმწიფოებში არსებულ განსაკუთრებულ გარემოებებს, საფრთხეების აღქმასა და უსაფრთხოების გამონყვევებს. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენი წინადადებები თანაბრად მიმართულია აღნიშნული ქვეყნების შიგნით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რადგან ისინი უკეთ მართავენ კონკურენციას რუსეთსა და დასავლეთს შორის. ცხრილში 5.2 ჩვენ სტატუს-კვოს ვადარებთ რეგიონულ წესრიგზე არსებული დავის სამ კომპონენტს (რადგან ისინი გავლენას ახდენს თითოეულ შუალედურ სახელმწიფოზე) და სიტუაციას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას აქ აღწერილი წინადადების განხორციელების შემთხვევაში. ცხრილი 5.2 გვიჩვენებს, რომ ჩვენი წინადადებები მოიცავს მნიშვნელოვან სარგებელს თითოეული შუალედური ქვეყნისთვის.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეგიონული წესრიგის ცვლილებები არ განხორციელდება მარტივად და ამას თავისი საფასური ექნება და ის შესაძლოა, პოლიტიკურად დატვირთული იყოს.³⁸ მაგრამ ამჟამად მდგომარეობა ყველა მხარისთვის არასახარბიელოა. ყველა შესაბამისმა დედაქალაქმა უნდა დაინყოს ალტერნატივებზე ფიქრის პროცესი. აქ შემოთავაზებული წინადადება წარმოადგენს ერთ ხედვას წინსვლისკენ. დღესდღეობის, ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რომ დავინყოთ ღია დისკუსია ამ ეკლიან საკითხებზე. ამის გარეშე, არსებული ცუდი მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდება.

38 ამასთან, გამოკითხვის მონაცემები მიუთითებს, რომ ხუთ შუალედურ სახელმწიფოში არსებობს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა კომპრომისებზე, რომლებიც ეხება უსაფრთხოების არქიტექტურასა და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (სულ მცირე). იხილეთ ჩერევი, შაპირო და დემუსი, გვ. 34–36, 2018 წელი.

ცხრილი 3.2

სტატუს-კვოს შედარება შუალედური სახელმწიფოებისთვის შეთავაზებულ განახლებულ რეგიონულ წესრიგთან

	სტატუს-კვო	შეთავაზება
უკრაინა	<ul style="list-style-type: none"> - ნატოსკენ სწრაფვა ნევრობის რეალური პერსპექტივის გარეშე - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება; შეწყვეტილი ვაჭრობა რუსეთთან; არ მიმდინარეობს სამხრეთი მოლაპარაკებები - ომი მძვინვარებს დონბასში; არსებობს ეფექტური მართვის ან შეთანხმების მცირე და ხანმოკლე იმედი 	<ul style="list-style-type: none"> - უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები; დიდი ძალების ქმედება ნეიტრალურობის შენარჩუნებისა და მეტი თავშეკავების სანაცვლოდა - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება და რუსეთთან ვაჭრობის აღდგენა; სამხრეთი კონსულტაციის მუდმივი მექანიზმი - „ტკვილის შემცირების“ სტატუს-ნეიტრალური ზომების განხორციელება და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები; შეთანხმების განახლებული პროცესი
საქართველო	<ul style="list-style-type: none"> - ნატოსკენ სწრაფვა ნევრობის რეალური პერსპექტივის გარეშე - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება; გართულებული ვაჭრობა რუსეთთან; არ მიმდინარეობს სამხრეთი მოლაპარაკებები - კონფლიქტები მინიმალური მართვით და პრაქტიკულად არანაირი მოგვარების პერსპექტივა 	<ul style="list-style-type: none"> - უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები; დიდი ძალების ქმედება ნეიტრალურობის შენარჩუნებისა და მეტი თავშეკავების სანაცვლოდა - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება და ინსტიტუციონალური სავაჭრო რეჟიმი რუსეთთან; სამხრეთი კონსულტაციის მუდმივი მექანიზმი - „ტკვილის შემცირების“ სტატუს-ნეიტრალური ზომების განხორციელება და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები; შეთანხმების განახლებული პროცესი



	სტატუს-კვო	შეთავაზება
<p>ბელორუსია</p>	<ul style="list-style-type: none"> - ქვეყანა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) წევრია, მაგრამ მოსკოვს არ უნდა არანაირი კავშირი დასავლეთთან - ქვეყანა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) წევრია; ევროკავშირთან კავშირი შეზღუდულია, რადგან არ შედის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის ურთიერთობა მცირეა - რეგიონული კონფლიქტების (განსაკუთრებით დონბასის) ირიბად ასახული უარყოფითი შედეგები უსაფრთხოებაზე 	<ul style="list-style-type: none"> - დაძაბულობის შემცირება და სტაბილურობის გაზრდა ახლანდელი და სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით - ევრაზიის სავაჭრო კავშირის (EAEU) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობა, ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმების (CEPA) მსგავსი ხელშეკრულება ევროკავშირთან; ვაჭრობა ევროკავშირთან, რომელიც ემყარება გარიგებებს ევრაზიის სავაჭრო კავშირსა (EAEU) ევროკავშირს შორის - უსაფრთხოების რისკების შემცირება კონფლიქტის უკეთესი მართვის გამო
<p>აზერბაიჯანი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ნეიტრალურობის მცდელობა დიდი ძალებისგან ალიარების გარეშე - გაძლიერებული სავაჭრო რეჟიმების არარსებობა ევროკავშირთან ან ევრაზიის სავაჭრო კავშირთან (EAEU) - კონფლიქტი, სადაც პრაქტიკულად არანაირი მართვის ღონისძიებებია და არც მოგვარების პერსპექტივები 	<ul style="list-style-type: none"> - უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები; დიდი ძალების ქმედება ნეიტრალურობის შენარჩუნებისა და მეტი თავშეკავების სანაცვლოდა - პოტენციური ორმხრივად მისაღები შეთანხმებები როგორც ევროკავშირთან, ისე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან - „ტკვილის შემცირების“ სტატუს-ნეიტრალური ზომების განხორციელება და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები; შეთანხმების განახლებული პროცესი



	სტატუს-კვო	შეთავაზება
სომხეთი	<ul style="list-style-type: none"> ქვეყანა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) წევრია, მაგრამ მოსკოვს არ უნდა არანაირი კავშირი დასავლეთთან ევრაზიის სავაჭრო კავშირი (EAEU) და ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმება (CEPA) ევროკავშირთან; კავშირი ევროკავშირთან შეზღუდულია, რადგან არ არსებობს ურთიერთობა ევროკავშირსა და ევრაზიის სავაჭრო კავშირს (EAEU) შორის კონფლიქტი, სადაც პრაქტიკულად არანაირი მართვის ღონისძიებებია და არც მოგვარების პერსპექტივები 	<ul style="list-style-type: none"> შემცირებული დაძაბულობა და გაზრდილი სტაბილურობა ამჟამინდელ და სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით სტატუს-კვო და გაძლიერებული კავშირები ევროკავშირთან, ამ გაერთიანებასა და ევრაზიის სავაჭრო კავშირს შორის მიღწეული ახალი შეთანხმებების გამო „ტკვილის შემცირების“ სტატუს-ნეიტრალური ზომების განხორციელება და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები; შეთანხმების განახლებული პროცესი
მოლდოვა	<ul style="list-style-type: none"> ნეიტრალურობის მცდელობა დიდი ძალებისგან აღიარების გარეშე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება; შეზღუდული ვაჭრობა რუსეთთან; არ მიმდინარეობს სამხმრივი მოლაპარაკებები კონფლიქტები მართვის მცირე ღონისძიებებით და პრაქტიკულად არანაირი მოგვარების პერსპექტივა 	<ul style="list-style-type: none"> უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები; დიდი ძალების ქმედება ნეიტრალურობის შენარჩუნებისა და მეტი თავშეკავების სანაცვლოდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება და რუსეთთან ვაჭრობის აღდგენა; სამხმრივი კონსულტაციის მუდმივი მექანიზმი „ტკვილის შემცირების“ სტატუს-ნეიტრალური ზომების განხორციელება და ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები; შეთანხმების განახლებული პროცესი

ა) ამ შედარებისთვის ვივარაუდებთ, რომ მოლდოვა, აზერბაიჯანი, უკრაინა და საქართველო მიიღებენ შემოთავაზებულ „მესამე გზის“ სტატუსს. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ამისათვის საჭირო იქნება ნებაყოფლობითი გადანაცვებების მიღება, არსებული პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

4

დანართი „ტკივილის შემცირების“ მიმდინარე ღონისძიებები რეგიონში

**ოლესია ვართანიანი,
ანდრეი პოპოვი, ნიკოლაი სილაევი**

4.1 საქართველო

2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ, საქართველომ ამ ერთეულების მიმართ თავის პოლიტიკაში ორმაგი მიდგომა გამოიყენა. ერთი მხრივ, იგი აგრძელებს არაღიარების პოლიტიკას, ითხოვს რუსეთის ჯარის გაყვანას და ამ ტერიტორიულ ერთეულებზე საკუთარი კონტროლი აღდგენას. მთავარი მიზანია იმის თავიდან აცილება, რასაც ზოგი უცხო ქვეყანა თუ აქტორი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „მცოცავ აღიარებას“ უწოდებს.³⁹ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ უკანონოდ აცხადებს ყოველგვარ უნებართვო კონტაქტს იქაურ ხელისუფლებასთან და ადგენს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სამგზავრო და ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდულ ჩარჩოს.⁴⁰ მეორე მხრივ, საქართველო ხელს უწყობს ჩართულობის პოლიტიკას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის, აცხადებს მზადყოფნას პატივი სცეს მათ უფლებებს და დაეხმაროს პირებს, ვინც მიიღებს თბილისის იურიდიულ უფლებამოსილებას.⁴¹

საქართველოს ხელმძღვანელობა დგას პოლიტიკური გამოწვევების წინაშე თავის ჩართულობის პოლიტიკაში. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები პროგრამებზე ახორციელებენ შეტევას და მწვავედ აკრიტიკებენ მათ.⁴² ყოველთვის, როდესაც საქართველოს ხელმძღვანელობა წესებს ამართივებს, მას ხვდება სვეპტიციზმისა და კრიტიკის ქარიშხალი როგორც მთავრობის შიგნიდან, ისე პოლიტიკური ოპონენტებისგან.

ქართველი ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველი მესამე პირი ან უკვე ჩამოვიდა თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მომსახურების მისაღებად, ან ჰყავს ნათესავი თუ მეგობარი, ვინც ეს გააკეთა.⁴³ ხალხს შეუძლია მიიღოს მომსახურება, რომელიც სხვაგვარად არ არის უზრუნველყოფილი არც ტერიტორიების შიგნიდან და არც რუსეთში. ამან ხელი შეუწყო ხალხის შიგნიდან კონტაქტების დამყარებას და შეამცირა უფსკრული დაყოფილ საზოგადოებებს შორის, რომლებიც 90-იანი წლების პირველი ომების

39 ოლესია ვართანიანის მიერ ჩატარებული ინტერვიუები საქართველოს მთავრობის ყოფილ და ამჟამინდელ მაღალჩინოსნებთან, 2018 წლის ოქტომბერი.

40 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, No. 431, 2008 წლის 23 ოქტომბერი. კანონის კრიტიკული მიმოხილვისთვის, იხილეთ „ევროკომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით, საბოლოო დასკვნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სტრასბურგი, საფრანგეთი, „ოფინიონ“ No. 552, 2009 წლის 14 დეკემბერი.

41 საქართველოს ჩართულობის პირველი პროგრამები გამოვლინდა 2010 წლის პაკეტში, რომელიც მოიცავდა მომავალზე ორიენტირებულ გრძელვადიან პოლიტიკას საქართველოს დანარჩენი სახელმწიფო აპარატისთვის. იხილეთ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „ჩართულობის სამოქმედო გეგმა“, 2010 წლის ივლისი. თავდაპირველად, ამ მრავალ პროექტში მონაწილეობის პირობა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ე.წ. ნეიტრალური დოკუმენტების

მიღება. მოგვიანებით ეს მოთხოვნა მოიხსნა და შეიცვალა უფრო მოქნილი მიდგომით, რითიც დაიწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტების მიღება.

42 მაგალითად, იხილეთ საზოგადოებრივ სივრცეში 2017 წელს წარმოშობილი დებატები ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლების სამედიცინო დახმარების შესახებ: თორნიკე შარაშენიძე, „რატომ არ მუშაობს საქართველოს აფხაზეთი პოლიტიკა“, სამოქალაქო საქართველო, 5 ოქტომბერი, 2017 წელი; გიორგი ვანაშვილი, „ამბის მეორე მხარე, ანუ რატომ ვერ იმუშავებს თორნიკე შარაშენიძის აფხაზეთი პოლიტიკა“, სამოქალაქო საქართველო, 2017 წლის 13 ოქტომბერი; უჩა ნანუაშვილი, „აფხაზეთისა და ოსების დახმარება არის საქართველოს ვალდებულება“, სამოქალაქო საქართველო, 2017 წლის 20 ნოემბერი.

43 2018 წლის ოქტომბერში ოლესია ვართანიანის მიერ ჩატარებული ინტერვიუები ერთ ყოფილ და ერთ ამჟამინდელ მაღალჩინოსანთან. ამ ციფრების დამოუკიდებლად გადამოწმება შეუძლებელი იყო. საქართველო არ აქვეყნებს ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს მათზე, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩართულობის პროგრამებში.

შემდეგ ორი ათეული წელი ერთმანეთისგან დაშორებით ცხოვრობდნენ. ამჟამად მიმდინარეობს ჩართულობის რამდენიმე პროექტი.

პენსიები და ხელფასები

განათლებისა და ჯანდაცვის ინსტიტუტებზე პასუხისმგებელ საქართველოს სამინისტროებს აქვთ სპეციალური სახსრები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხარჯების დასაფარად. მხოლოდ იმ აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც ფლობენ ოფიციალურ ქართულ დოკუმენტებს, აქვთ წვდომა საქართველოს საბანკო სისტემაზე. ამ პირთა უმეტესობა სკოლისა და საავადმყოფოს თანამშრომლები არიან აღმოსავლეთ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონში. ორივე აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობს მნიშვნელოვანი ეთნიკური ქართველი მოსახლეობა. ბევრი მათგანი პარალელურად იღებს ხელფასებს აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისგან.⁴⁴

სამედიცინო დახმარება

სამედიცინო დახმარების პროგრამა ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. 2012 წლიდან 2016 წლამდე 4000-ზე მეტმა ადამიანმა, ძირითადად აფხაზეთიდან, საქართველოს მთავრობისგან მიიღო დაახლოებით 4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების უფასო სამედიცინო დახმარება. მანამდე სამედიცინო პროგრამა მოიცავდა მწვავე პრობლემების მქონე პაციენტებს და მათ, ვინც მკურნალობისთვის რუსეთში გამგზავრებას ვერ ახერხებდა. ახლა ბევრი პაციენტი სტუმრობს საქართველოს საავადმყოფოებს რეგულარული სამედიცინო შემონმებისთვის.⁴⁵

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სათანადო სამედიცინო დაწესებულებების არარსებობა განაპირობებს ამ პროგრამის პოპულარობას. მიუხედავად იმისა, რომ დიდ თუ პატარა ქალაქებში შეიძლება იყოს ახლად გარემონტებული სამედიცინო შენობები, ცოტა მათგანშია პროფესიონალი თანამშრომლები და სამედიცინო აპარატურა, რაც აუცილებელია ადეკვატური მომსახურების უზრუნველსაყოფად.⁴⁶ ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის რუსეთში და სხვა

უცხო ქვეყნებში მოგზაურობა ხშირად შეუძლებელია ხარჯების გამო.⁴⁷

ვაჭრობა

ვაჭრობამ კონფლიქტის ხაზების გადაკვეთის გზით ეკონომიკური შესაძლებლობები შეუქმნა ორივე მხარის მოსახლეობას. ვაჭრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის არასდროს შეჩერებულა - ომებისა და სამხედრო ესკალაციების დროსაც კი - და ამჟამად ის კიდევ უფრო იზრდება. ვაჭრობა მაინც მიმდინარეობს, მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით და ორივე სუბიექტის მიერ დაწესებული სამართლებრივი შეზღუდვებისა.⁴⁸ ბიზნესს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა აწარმოებს, რომელსაც გამყოფი ხაზების ორივე მხარესთან კავშირები აქვს. ბიზნესში, სავარაუდოდ, მონაწილეობენ ჩინოვნიკები, რომლებიც ასევე სარგებლობენ დაურეგულირებელი პროცესებით.

2015 წლიდან სამხრეთ ოსეთთან ვაჭრობა იზრდება. ტვირთის მქონე მიკროავტობუსების გრძელი ხაზები დაფიქსირდა ახალგორისკენ მიმავალ მთავარ გზაჯვარედინთან. ახალგორში ძირითადად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს. 2017 წლის ზაფხულში, თვეში დაახლოებით 1500 ტონა პროდუქტი შემოდიოდა ამ რეგიონში.⁴⁹ აფხაზეთთან ვაჭრობა ხორციელდება კარგად დადგენილი ქსელების საშუალებით. აფხაზეთის სახელისუფლებო წარმომადგენლების ცნობით, კონფლიქტის ხაზს ყოველდღიურად 150 ტონა კომერციული ტვირთი კვეთს, ორივე მიმართულებით.⁵⁰ 2010 წლიდან 2015 წლამდე ჩატარებული კვლევების თანახმად, წლიური ღირებულება 7-დან 15 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ამასობაში, საქართველო თავისი პაკეტით - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ცდილობს აფხაზურ ბიზნესს მისცეს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გამოყენების საშუალება მათი საქმიანობის თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის გზით.⁵¹

სავაჭრო ინიციატივების განხორციელების ძირითადი პრობლემა არის ორივე მხარის ხე-

44 ოლესია ვართანიანის მიერ ჩატარებული ინტერვიუები საქართველოს მთავრობის ყოფილ მაღალჩინოსნებთან, 2018 წლის ოქტომბერი, და ინტერვიუები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებთან, 2010-2019 წლები.

45 ოლესია ვართანიანის მიერ ჩატარებული ინტერვიუ საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსანთან, 2018 წლის ივნისი.

46 დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ტომას ჰამარბერგი და მაგდალენა გროსო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, სტოკჰოლმი, შვედეთი: ოლოფ ჰალმეს სახელობის საერთაშორისო ცენტრი, 2017 წლის ივლისი, გვ. 43-46.

47 2018 წელს რუსეთმა დაიწყო აფხაზებისა და ოსების (სამხრეთ ოსეთიდან) მიღება სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში, რომელიც მოიცავს უფასო სამედიცინო მკურნალობას.

48 დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი, „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი: ვაჭრობაზე საუბრის დრო“, ბრიუსელი, ევროპის ანგარიში No. 249, 2018 წლის 24 მაისი, გვ. 4-11.

49 საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი, 2018, გვ. 6

50 საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი, 2018, გვ. 8

51 საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი, 2018, გვ. 12

ლისუფლებასა და მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის არარსებობა. საუბარი არ მიმდინარეობს საქართველოსა და აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შორის. აფხაზეთში, სოხუმმა არ მიიღო ევროკავშირის მოწვევა თბილისთან სავაჭრო საკითხებზე მედიაციის შესახებ. საქართველოს მცდელობებს აფხაზეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დასამყარებლად არ მოჰყოლია არხის შექმნა ვაჭრობის განვითარების შესაძლო პერსპექტივების განსახილველად.

ბანატლები

საერთაშორისო ინსტიტუტების უმრავლესობა არ ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საგანმანათლებლო დოკუმენტებს და ითხოვს დამატებით ცნობებს მათი ნამდვილობის დასადასტურებლად. საქართველოს მთავრობამ ახლახანს წამოაყენა ნეიტრალური საერთაშორისო ინსტიტუტის მოწვევის საკითხი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს გადამოწმების პროცესს საქართველოს მთავრობასთან.⁵² გარდა ამისა, თბილისი მხარს უჭერს ბრიტანეთის მთავრობის გადანაცვლებას სტატუს-ნეიტრალური ტერმინოლოგიის შემოღების შესახებ, რომელიც აფხაზეთის მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემს გააკეთონ განაცხადი გაერთიანებულ სამეფოში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების დაფინანსების მისაღებად.⁵³

დოკუმენტები

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის თბილისის მიერ განხორციელებულ პროგრამებში ჩართვის ძირითადი ბარიერი დაკავშირებულია საიდენტიფიკაციო დოკუმენტებთან. თბილისი უარს ამბობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტების მიღებაზე და ამის ნაცვლად მოსახლეობას სთხოვს, აიღოს საქართველოს მიერ გაცემული საბუთები. 2013 წლიდან საქართველომ შეამსუბუქა თავისი რეგულაციები და დაუშვა აფხაზური და სამხრეთ ოსური პასპორტების გამოყენება სარეგისტრაციო მიზნებისთვის. ეს გადანაცვლებები დაემთხვა იმ პირთა რიცხვის ზრდას, რომლებიც ამ ტერიტორიული ერთეულებიდან მიმართავენ საქართველოს საავადმყოფოებს სამედიცინო დახმარებისთვის, რაც განვიხილეთ

წინა ნაწილში. საქართველოს 2018 წლის პროგრამამ „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ შესაძლებელი გახადა აფხაზური და სამხრეთ ოსური დოკუმენტების გამოყენება სახელმწიფო საიდენტიფიკაციო ნომერის მისაღებად. ეს ნომერი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთელი რიგი სახელმწიფო და კერძო სერვისებისთვის, მათ შორის საბანკო ანგარიშების გახსნისა და კომპანიების დარეგისტრირებისთვის.⁵⁴

4.2 მოლდოვა

2007 წლიდან მოლდოვის პოლიტიკა დნესტრისპირეთის საკითხის მოგვარების მიმართ ემყარება ჩართულობას, მცირე ნაბიჯებსა და ნდობის აღდგენას. იგი შემუშავდა, როგორც ყოვლისმომცველი, რთული და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ მოლდოვის ძირითადი საერთაშორისო პარტნიორები. მანამდე, თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, იყო არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი ძალისხმევა და ცვალებადი ტრაექტორია, რომელშიც რბილი და დამაკმაყოფილებელი ზომებისა და ინიციატივების პერიოდებს მოულოდნელად მოჰყვა შეზღუდული და მკაცრი ზომები და გაყინული ურთიერთობები.

მოლდოვაში 2009 წლის ივლისის არჩევნების შემდეგ, ევროპული ინტეგრაციის ალიანსის მიერ შექმნილმა ახალმა მთავრობამ შეაჩერა დნესტრისპირეთის იზოლირების ან იგნორირების პოლიტიკა და დაიწყო ჩართულობის ახალი პოლიტიკა.⁵⁵ მთავრობამ გვერდით გადადო რთული პოლიტიკური საკითხები, როგორცაა დნესტრისპირეთის სტატუსი, და ყურადღება გაამახვილა მცირე ნაბიჯებზე, რომლებსაც შეეძლო მხარეთა დაახლოება. მთავრობამ განიხილა ისეთი საკითხები, როგორცაა რკინიგზა, ეკონომიკური თანამშრომლობა, განვითარების პროექტები (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით) და ვაჭრობა. რეგულარულად იკრიბება უამრავი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ სფეროებში - დანყებულ ეკონომიკიდან, ვაჭრობიდან და სოფლის მეურნეობიდან, დამთავრებული ჯანდაცვით, განათლებით და გარემოს დაცვით.

52 შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“: სამშვიდობო ინიციატივა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაძლიერება, თბილისი, საქართველო, 2018 წელი (ა).

53 ოლესია ვართანინის მიერ ჩატარებული ინტერვიუები საქართველოს მთავრობის ყოფილ მაღალჩინოსნებთან, 2018 წლის ოქტომბერი.

54 შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“: სამშვიდობო ინიციატივა, გამყოფი ხაზის გადაკვეთის გზით ვაჭრობის ხელშეწყობა, თბილისი, საქართველო, 2018 (ბ).

55 ევროკომისია, კომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს კომისიის კომუნიკაციის ევროპარლამენტსა და საბჭოსთან, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხილვა: ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2009 წელს, მოლდოვას რესპუბლიკის პროგრესის ანგარიში, ბრუსელი, 2010 წლის 12 მაისი, გვ. 7.

მოქალაქეობა

მოლდოვის მოქალაქეობის შესახებ კანონის⁵⁶ დებულებების საფუძველზე, დნესტრისპირეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეუძლია მიიღოს მოლდოვის მოქალაქეობა, რომელიც მიენიჭა 330,000 მაცხოვრებელს (რეგიონში მცხოვრები 475,000 ადამიანიდან) - მათ, ვინც მიიღო პირადობის საიდენტიფიკაციო კოდები, ადგილობრივი პირადობის მონმობები და საერთაშორისო პასპორტები.⁵⁷ მათგან 288,000 პირი 18 წელს გადაცილებულია და, შესაბამისად, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოლდოვის არჩევნებში. 2005 წლიდან მოლდოვის ხელისუფლება დნესტრისპირეთის მაცხოვრებლების მიმართ იყენებს პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკას: უფასოდ გასცემს მათ პირველ ადგილობრივ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და პირველ საერთაშორისო პასპორტს (რაც მოლდოვის დანარჩენ მოქალაქეებისთვის ღირს 7 ევრო და 45 ევრო, შესაბამისად).⁵⁸

დოკუმენტები

2001 წლის მაისიდან მოლდოვამ დე-ფაქტო აღიარა და მიიღო დნესტრისპირეთში გაცემული დოკუმენტების ტიპების უმეტესობის ნამდვილობა.⁵⁹ ეს დოკუმენტები არა მხოლოდ დე-ფაქტოდ არის აღიარებული მოლდოვის ინსტიტუციების მიერ, არამედ ასევე შესაძლებელია ზოგიერთის (მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის დოკუმენტების და მართვის მონმობების) აპოსტილით დამონმება ან საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მოლდოვურ დოკუმენტებში გადატანა, მიუხედავად იმისა, რომ კვიპინოვის ხელისუფლებას არ აქვს წვდომა დნესტრისპირეთის მონაცემთა ბაზებზე მათი ნამდვილობის დასაზუსტებლად.

სამედიცინო დახმარება

დნესტრისპირეთის ყველა მაცხოვრებელი, ვისაც აქვს მოლდოვის მოქალაქეობა (რეგიონის მოსახლეობის 70 პროცენტი), შეუზღუდავად

სარგებლობს მოლდოვის ჯანდაცვის სისტემით სამედიცინო დაზღვევის პოლისის შექმნის (დაახლოებით 100 ევროდ) საფუძველზე. გარდა ამისა, მოლდოვის მთავრობა ყოველწლიურად გასცემს ათასობით უფასო დაზღვევის პოლისს დნესტრისპირეთის გარკვეული კატეგორიის მცხოვრებლებისთვის, როგორცაა პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ორსული ქალები. მოლდოვა დნესტრისპირეთის მაცხოვრებლებს ასევე აძლევს სამედიცინო პროგრამებზე წვდომის საშუალებას, რომლებიც მორგებულია მონყვლად ჯგუფებზე და სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე.⁶⁰

ბენატილება

მოლდოვის განათლების სამინისტრო მოლდოვის უნივერსიტეტებში ამტკიცებს ყოველწლიურ კვოტას - ბიუჯეტით დაფინანსებულ დაახლოებით 2000 ადგილს, რომლებიც მხოლოდ დნესტრისპირეთის სკოლების კურსდამთავრებულებისთვისაა განკუთვნილი. იმის გამო, რომ დნესტრისპირეთის სასკოლო განათლება 11 წლიანია, ხოლო მოლდოვის - 12 წლიანი და შემდეგ მოჰყვება უმაღლესი განათლების გამოცდა, მოლდოვა ატარებს უფასო გარდამავალ მოსამზადებელ კურსს დნესტრისპირეთისათვის, რომელთაც სურთ მოლდოვის უნივერსიტეტებში ჩაბარება.⁶¹

ბენქანის სანომრე ნიშნები

2018 წლიდან დამტკიცდა მანქანის სანომრე ნიშნების ნებაყოფლობითი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელია დნესტრისპირეთის მიერ გაცემული მანქანის სანომრე ნიშნების ფაქტობრივი ცნობა მოლდოვის მთელ ტერიტორიაზე.⁶² ახლა დნესტრისპირეთის მანქანების მფლობელებს, რომელთაც სურთ ევროკავშირში გამგზავრება, შეუძლიათ მოლდოვის რეგისტრაციის მიღება და სტატუს-ნეიტრალური მანქანის სანომრე ნიშნების დამტკიცება.

